საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი
Center for Strategic Research and
Development of Georgia

ჩვენ უკვე 20 წლის ვართ
CSRDG IS 20 YEARS OLD

წლიური ანგარიში
ANNUAL REPORT

2015

სარჩევი / INDEX

» აღმასრულებელი დირექტორისგან
Message from the GEO

» ორგანიზაციის შესახებ
About the Organization

» ორგანიზაციის მმართველობის სტრუქტურა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა
Governance Structure and Stakeholder Engagement

» პროგრამული საქმიანობის ანგარიში
Program Report on Our Activity

პროგრამა – სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერება
PROGRAM – STRENGTHENING THE CIVIL SOCIETY INSTITUTIONS

» თემის განვითარების ქვეპროგრამა
Community Development

» საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ქვეპროგრამა
Development of Civil Society Organizations

პროგრამა – კარგი მმართველობის ხელშეწყობა
PROGRAM – PROMOTING GOOD GOVERNANCE

» თვითმმართველობის განვითარების ქვეპროგრამა
The local government development

» კვლევებისა და რეფორმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა
Research and promotion of reforms

აღმასრულებელი დირექტორისაგან

სიამოვნებით წარმოგიდგენთ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ 2015 წლის საქმიანობის ანგარიშს. ეს წელი ჩვენთვის განსაკუთრებულია, რადგან უკვე 20 წლის გავხდით.

2015 წლის განმავლობაში ჩვენ აქტიურად ვმუშაობდით სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ კი ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობისა და ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბების, ჯანსაღი და უსაფრთხო ბუნებრივი გარემოს უზრუნველყოფის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და სოციალური მეწარმეობის განვითარების, თემის გაძლიერებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებებით. ამ საქმიანობის მეშვეობით კი ჩვენი წვლილი შევგქონდა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევასა და დემოკრატიის პრინციპების დანერგვაში.

2010 წლიდან „ცენტრი“ არის „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ (Global Reporting Initiative /GRI) ორგანიზაციული მხარდამჭერი.

ანგარიშგების „გლობალური ინიციატივა“ წარმოადგენს საერთაშორისო ქსელურ ორგანიზაციას, რომლის მიზანია მდგრადი განვითარების ანგარიშგების უნივერსალური ფორმატის შემუშავება და მუდმივი გაუმჯობესება.

2007 წლიდან კი ჩვენი ორგანიზაცია მიერთებულია გაეროს „გლობალური შეთანხმების“ ინიციატივას.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ინტეგრირებულ ანგარიშს, რომელშიც გაერთიანებულია ჩვენი წლიური პროგრამული ანგარიში და გლობალური შეთანხმების ანგარიში მიღწეული შედეგების შესახებ (Communication on Engagement)

გაეროს გლობალური შეთანხმება კორპორაციული მოქალაქეობის ყველაზე მასშტაბურ გლობალურ ინიციატივას წარმოადგენს. ის ეფუძნება ორგანიზაციათა ნებაყოფლობით გადაწყვეტილებას განახორციელონ მდგრადი განვითარების უნივერსალური პრინციპები და მხარი დაუჭირონ გაეროს მიზნების განხორციელებას.

ამ ანგარიშით ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს უწყვეტ მხარდაჭერას გლობალური შეთანხმების ათი უნივერსალური პრინციპის მიმართ, რომელიც მოცავს გარემოს დაცვის, ადამიანის უფლებების, შრომითი უფლებებისა და კორუფციასთან ბრძოლის სფეროებს. ჩვენ გამოვხატავთ

ეკა ურუშაძე
Eka Urushadze

MESSAGE FROM THE CEO

I am pleased to present the 2015 Annual Report of the Center for Strategic Research and Development of Georgia (CSRDG). This year was special year because CSRDG is already 20 years old.

During this year CSRDG has been working together with its stakeholders in various spheres. In particular, our programs and activities have been directed towards promotion of strong civil society and strong local government, environmental safety, corporate social responsibility, social entrepreneurship, community development and consumers rights. In this way we contributed to the promotion of sustainable development and democratic principles in our country.

Since 2010 we are a registered Organizational Stakeholder of the Global Reporting Initiative and support its mission to empower decision makers everywhere to take action towards a more sustainable economy and world.

The Global Reporting Initiative (GRI) is a leading organization in the sustainability field. Its activity involves thousands of professionals and organizations from many sectors, constituencies and regions. GRI promotes the use of sustainability reporting as a way for organizations to become more sustainable and contribute to sustainable development.

Since 2007 our organization is participant of the UN Global Compact. This means that we incorporate in our activities and support the Global Compact's universal principles in the areas of environment protection, human rights, labor rights, and anti-corruption, and promote their nationwide introduction.

UN Global Compact is the world's largest corporate sustainability initiative. This is a voluntary initiative based on CEO commitments to implement universal

ჩვენს მზადყოფნას კვლავ ხელი შევუწყოთ ამ პრინციპების განხორციელებას ჩვენი საქმიანობის და ზეგავლენის სფეროების ფარგლებში და საჯაროდ წარმოვაჩენთ ჩვენს მხარდაჭერას გლობალური შეთანხმების მიმართ დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოების წინაშე.

ჩვენ ასევე ვადასტურებთ ჩვენს მზადყოფნას ვითანამშრომლოთ გლობალურ შეთანხმებასთან და შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობა მივიღოთ მის აქტივობებსა და ღონისძიებებში, ჩავერთოთ პარტნიორულ პროექტებში, რომლებიც კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად, საჭიროებისა და მოთხოვნის შემთხვევაში განვიხილოთ გლობალური შეთანხმების ინიციატივას მიერთებული სხვა კომპანიების წლიური ანგარიშები მიღწეული შედეგების შესახებ (Communications on Progress).

იმედი მაქვს, წინამდებარე ანგარიში ნათლად წარმოაჩენს ჩვენს მიერ მიღწეულ შედეგებს.

2015 წელი განსაკუთრებული საიუბილეო წელი გახლავთ ჩვენი ორგანიზაციისათვის, – „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი" 20 წლის გახდა. დამეთანხმებით, ალბათ, რომ 20 წელი საკმაოდ მნიშვნელოვანი თარიღია ერთი ორგანიზაციის ისტორიისათვის. ძალიან ბევრი გვაქვს გასახსენებელი, – საინტერესო საქმიანობით მრავალფეროვნად დატვირთული, სირთულეებითა და ემოციებით სავსე, ზოგჯერ წარუმატებელიც და ხშირად წარმატებებით სავსე 20 სასიამოვნო წელი... არ არის მარტივი, მოკლე შესავალ სიტყვაში ჩაატიო ის დიდი ემოცია, რასაც ჩვენი 20 წლის საქმიანობა ჰქვია.

ცენტრს ძალიან გაუმართლა – მას ყოველთვის ჰყავდა და დღესაც ჰყავს მაღალი პროფესიული სტანდარტების გამზიარებელი, საოცრად შეკრული თანამშრომელთა გუნდი და ეს ჩვენი ყველაზე დიდი მონაპოვარია. მე მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ცენტრის ყველა თანამშრომელს იმ დიდი წვლილისათვის, რაც თითოეულ მათგანს მიუძღვის ცენტრის წინაშე. რომ არა ისინი, – ასეთი საოცარი ადამიანების გუნდი, ჩვენ ვერ მივაღწევდით წარმატებას. მადლობა ყველას ახალი იდეებისა და ინოვაციური პროექტებისათვის, ერთგულებისათვის, დაუღალავი შრომისათვის, სითბოსა და სიყვარულისათვის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგატანისა და თანადგომისათვის, სირთულეების მიუხედავად ღირებულებებისადმი საოცარი ერთგულებისათვის!

მინდა ასევე დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც გულშემატკივრობს ჩვენს ორგანიზაციას, ყველა ორგანიზაციასა თუ პირს, ვინც ამ ხნის განმავლობაში პატარა წვლილი შეიტანა ჩვენი საქმიანობის წარმატებისათვის, ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებს, ვინც მხარში გვედგა და ჩვენთან ერთად ახორციელებდა საქმიანობებს, მადლობა ყველას ჩვენი საქმიანობის სხვადასხვა სახით მხარდაჭერისათვის.

sustainability principles and to take steps to support UN goals.

Therefore, with this report we are pleased express CSRDG's continued support to the Global Compact and its ten universal principles. We express our intent in continuing advancing those principles within our sphere of influence and activities, and we will make a clear statement of this commitment to our stakeholders and general public.

We also continue our pledge to take part in the activities of UN Global Compact where appropriate and feasible – through for instance participation in country/local networks and participating in Global Compact events, involvement in special initiatives and work streams; engagement in partnership projects on corporate sustainability; and reviewing and providing commentary to participating companies on their Communications on Progress.

I hope the underlying report clearly demonstrated our achieved results.

2015 was a very special, 20th anniversary year for the Center of Strategic Research and Development of Georgia. You'll probably agree that 20 years is a quite a long time for the history of one organization. We have a lot to remember, pleasant 20 years loaded with diverse work, mostly successful but sometimes less so as well... It's not easy to fit the 20 years related enormous amount of emotions in a small introductory part.

From the very beginning, the center has been very lucky to have a team of high-class professionals well committed to their work and professional values, as well as supporting each other and making the spirit of the CSRDG. I want to thank each of them for their enormous contributions, for new ideas and innovative projects, for devotion, tireless efforts, love and warmth, mutual respect, empathy, support and commitment to the common values disregarding difficulties. Without such an incredible team of people, we would not be able to be successful.

I am also very grateful to the organizations and individuals who stood next to us, contributed in our successful work; to the initiative groups and partner organizations who implemented joint activities with us and motivated to make further efforts towards a better society.

We all are the integral part of the history named 20 years of the CSRDG achievements.

ორგანიზაციის შესახებ

„საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი“ არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 1995 წელს და გააჩნია სამოქალაქო სექტორში წარმატებული მუშაობის 20 – წლიანი გამოცდილება. ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი არის – ფონდი.

ჩვენი საქმიანობა ფარავს საქართველოს ფარგლებს. ორგანიზაციის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, ხოლო წარმომადგენლობითი ოფისი – თელავში.

ჩვენი დაფინანსების ძირითადი წყაროებია საერთაშორისო ფონდებიდან გრანტების სახით მოძიებული თანხები. ჩვენი შემოსავლების მცირე ნაწილს შეადგენს აგრეთვე ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურებიდან (ტრენინგები და კონსულტაციები) შემოსული თანხები (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ფინანსური ანგარიში, დანართი №6).

მისია, ხედვა და ფასეულობები

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მისიაა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობის ხელშეწყობა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა აქტიური ჩართვითა და მათი ინტერესების დაცვით, ასევე სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერისა და პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევების ჩატარების გზით.

ამრიგად, ცენტრის მისია არის საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობა მთავრობასა და საზოგადოებას შორის ორმხრივი დიალოგის ხელშეწყობის გზით.

საქმიანობის სფერო

მისიის შესასრულებლად „ცენტრს“ დასახული აქვს **სამი გრძელვადიანი სტრატეგიული მიზანი** ქვეყნის მოსახლეობასთან, მთავრობასა და კერძო სექტორთან მიმართებით:

- **მოსახლეობასთან** ცენტრი აქტიურად მუშაობს ცნობიერების ამაღლების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართვის, მოსახლეობის მიერ საკუთარი ინტერესების დაცვის ხელშეწყობის მიზნით;
- **მთავრობასთან** მიმართებით ცენტრის მიზანია კონსტრუქციული კრიტიკისა და საექსპერტო დახმარების გზით, ხელი შეუწყოს მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით მთავრობის მიერ სტრუქტურული რეფორმების ეფექტურ ფორმულირებას და განხორციელებას;
- **კერძო სექტორთან** მიმართებით ცენტრი ხელს უწყობს ბიზნესის აქტიურ ჩართვას მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში პასუხისმგებელი ბიზნესის კონცეფციისა და პრაქტიკის დამკვიდრებისა და მულტისექტორული პარტნიორობის განვითარების გზით.

ABOUT THE ORGANIZATION

Founded in 1995, the Centre for Strategic Research and Development of Georgia is a civil society organization with 20 years of successful work experience in the civil sector. The organization's legal status is Foundation.

Our activity area is the country of Georgia. Centre's head office is in Tbilisi and a branch office in Telavi.

Our main financing sources are grants received from international foundations and development agencies, while a small share of our budget comes from services (such as training and consultations) provided by our organization. (More details are presented in Financial Report, see Annex 6).

Our Mission

The Centre for Strategic Research and Development of Georgia seeks to promote the development of civil society in Georgia by raising the awareness of the population, stimulating the active involvement of citizens in decision making processes, advocating the interests of various civic groups, supporting civic initiatives, and conducting applicable practical research. The Centre endeavours to support groups and individuals that promote social, political and economic reforms, and contribute to the development of efficient institutions for the protection of human rights.

In short: the mission of the organization is to build up civil society in Georgia by promoting mutual dialogue between the Government and citizens.

The main spheres of our activities

To fulfil its mission, the Centre has three long-term strategic objectives in relation to the country's population, Government and private sector:

- CSRDG actively works with the public for awareness raising, promoting the involvement of stakeholders in decision-making processes, and helping the public to protect their interests.
- In relation to the Government, CSRDG's objective is to promote effective designing and implementation of structural reforms by the Government, with the active participation of the population.
- In relation to the private sector, CSRDG promotes the active involvement of the business in achieving sustainable development objectives by introducing the concept and practice of responsible business and developing multi-sector partnerships.

ჩვენი აზრით, სამივე მიზანი მჭიდროდ არის დაკავშირებული და მათ ერთობლიობას წვლილი შეაქვს **ქვეყნის მდგრად განვითარებაში, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებასა და დემოკრატიის მშენებლობაში.**

აღნიშნული სტრატეგიული მიზნების ფარგლებში ***ცენტრის საქმიანობის ძირითადი სფეროებია:***

- სამოქალაქო განვითარება;
- თემის/სოფლის განვითარება;
- ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა;
- გარემოს დაცვა;
- ხელისუფლების დეცენტრალიზაცია;
- მუნიციპალიტეტების ანგარიშვალდებულებისა და საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა;
- საბიუჯეტო პროცესები;
- მომხმარებელთა უფლებები;
- სოციალური მეწარმეობა;
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.

ცენტრის საქმიანობისას გამოყენებული ძირითადი ***მიდგომები და სტრატეგიებია:***

- ***კვლევითი საქმიანობა*** *„ცენტრის" საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სფეროში (როგორც ცენტრის ექსპერტების მიერ, ასევე „ცენტრთან" არსებული ექსპერტთა ქსელის დახმარებით);*
- ***ცნობიერების ამაღლება და ინტერესთა დაცვის კამპანიები;***
- *ცენტრალური და ადგილობრივი დონის ხელისუფლებო უწყებების საქმიანობის* ***მონიტორინგი;***
- *საკანონმდებლო ხარვეზების გამოვლენა და შესაბამისი* ***საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება;***
- ***საექსპერტო მხარდაჭერა*** *(ტრენინგები, კონსულტაციები საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამოქალაქო ჯგუფების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის, სკოლების, ბიზნესკომპანიებისათვის);*
- ***სამოქალაქო ორგანიზაციების გაძლიერება*** *(თბილისისა და საქართველოს რეგიონების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სოფლის ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფებისა);*
- ***მიკროგრანტების გაცემა*** *სოფლის საინიციატივო ჯგუფებისათვის ადგილობრივი პრობლემების მოგვარების მიზნით და სოციალური მეწარმეობით დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის მათი მდგრადობის განვითარების მიზნით ;*
- ***პარტნიორული და კოალიციური მუშაობის ხელშეწყობა*** *როგორც სამოქალაქო სექტორის შიგნით, ასევე სხვადასხვა სექტორს შორის.*

In our opinion, all three objectives are strongly interrelated and their conglomeration makes a serious contribution to the country's sustainable development, raising the quality of life and building democracy.

The ***main spheres*** of the Centre's activities under the strategic objectives are:

- Civic development;
- Community / rural development;
- Economy and social policy;
- Environment protection;
- Government decentralization;
- Increasing the municipalities' accountability and effectiveness;
- Budgetary processes;
- Consumer rights;
- Social enterprise;
- Corporate Social Responsibility.

For working in the above listed areas we apply various *approaches and strategies,* such as:

- **Research** in various areas related to CSRDG's activities (carried out by CSRDG's experts, as well as with the assistance of the experts' network formed at the Centre)
- **Campaigns** for **awareness raising** and **advocacy**
- **Monitoring** of Government activities on both the national and local levels
- Revealing legislative shortcomings and development of respective **legislative amendments**
- **Expert assistance** (training and consultations for civil organizations, civic groups, local governments and self-governments, public schools, and business companies)
- **Strengthening of civil organizations** (for civil organizations in Tbilisi and other regions of Georgia, and rural youth initiative groups)
- **Provision of micro-grants** for village initiative groups in order to solve local problems and to ensure sustainable development of civic organizations interested in social entrepreneurship;
- **Promotion of partner and coalition work** within the civil sector, as well as on the inter-sector level.

საქმიანობის გეოგრაფიული არეალი

ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაჭრას „ცენტრი“ კომპლექსურად უდგება და საქმიანობს როგორც **ადგილობრივ** (სოფელი, რაიონი), ასევე **ეროვნულ** დონეზე. კერძოდ, ცენტრის საქმიანობის არეალი მოიცავს საქართველოს დედაქალაქს – თბილისს, ასევე ლაგოდეხის, სიღნაღის, ყვარლის, თელავის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებს აღმოსავლეთ საქართველოში, ოზურგეთის, ჩოხატაურის, აბაშის, მარტვილის, სენაკისა და ხობის მუნიციპალიტეტებს დასავლეთ საქართველოში. ჩამოთვლილ მუნიციპალიტეტებში ორგანიზაცია უკვე მრავალი წელია ინტენსიურად მუშაობს, ხოლო ცალკეული პროგრამების ფარგლებში ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობა მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს.

სამიზნე ჯგუფები:

ადგილობრივ დონეზე:

- სოფლის სათემო ორგანიზაციები და საინიციატივო ჯგუფები;
- რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
- საჯარო სკოლები;
- ადგილობრივი თვითმმართველობები (მუნიციპალიტეტები).

ეროვნულ დონეზე:

- სახელისუფლებო სტრუქტურები და სახელმწიფო უწყებები;
- კვლევითი და უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტები;
- საჯარო სკოლები;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
- მსხვილი და საშუალო ბიზნესკომპანიები;
- სხვადასხვა სფეროს ექსპერტები;
- მასმედიის საშუალებები.

2015 წელი - ფაქტები და ციფრები

თანამშრომლები: 2015 წლის დასასრულს ორგანიზაციის თანამშრომელთა საერთო რაოდენობა იყო 30 (აქედან 28 თბილისის ოფისის თანამშრომელია და 2 – თელავის ოფისის).

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები ლარებში

ორგანიზაციის მთლიანი კაპიტალი და რეზერვები 2015 წლის ბოლოსათვის (31.12.2015) – 1 916 197 ლარი

Geographic coverage of our activities

CSRDG has a complex approach to solving problems facing the country, and carries out its activities on the local (village, district) as well as the national level. In particular, our activity area covers Tbilisi – the capital of Georgia; Lagodekhi, Sighnaghi, Telavi, Kvareli and Sagarejo municipalities in Eastern Georgia; and Ozurgeti, Chokhatauri, Abasha, Martvili, Senaki and Khobi municipalities in Western Georgia. The Centre has been intensively working in these municipalities for many years, while some of these programs are implemented by it on the whole territory of the country.

Our target groups:

On the local level:

- Grassroots organizations (CBO and village initiative groups)
- Non-governmental organizations
- Public Schools
- Local governments (Municipalities).

On the national level:

- Government and State agencies
- Research institutions and collages/universities
- Public schools
- Non-governmental organizations
- Large and medium business companies
- Experts in various spheres
- The Media.

2015 - Facts and Figures

Employees: At the end of 2015, the total number of the organization's employees was 30 (of these, 28 were employees of the Tbilisi office and 2 of the Telavi office).

Core financial indicators

The organizations total capital and reserves (according to the available data at the end of 2015 (31.12.2015) was 1 916 197 GEL

მთლიანი შემოსავლები (წლების მიხედვით) ლარებში
Total income (by years) in GEL



მთლიანი შემოსავლები ძირითადი კატეგორიების მიხედვით
Breakdown of the sources by major categories

	2010	2011	2012	2013	2014	2015
ინდივიდუალური, შემომწირველებისგან მიღებული თანხები From individual contributions	13316	15304	1500	813	6121	1 053
გაწეული სერვისებისგან მიღებული შემოსავალი Income from services provided	*128 864*	*128 706*	***62 807,58***	95 788	69183	***110 894***
დონორებისგან მიღებული თანხები Funding from donors	*1 244 405*	*668 550*	***965 556,14***	916 080	1023277,1	***1 652 249***
სხვა შემოსავლები Other income	-	-	*1 323,5*	6 851	6506	*16 999*
სულ შემოსავლები Total Income	*1 386 585*	*812 557*	*1 031 187,22*	1 019 532	1105087	*1 781 195*

ჩვენი დონორები: 2015 წელს ჩვენი დონორები იყვნენ:

- პური მსოფლიოსთვის;
- გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობა;
- მუშა სამარიტელთა კავშირი საქართველოში;
- ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი;
- საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი;
- ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში;
- თემის განვითარების ჟურნალი;
- BMW ფონდი;
- ვიშეჰრადის საერთაშორისო ფონდი.

Our donors: In 2015 our donors were:

- Bread For The World;
- UN Development Program;
- Arbeiter-Samariter-Bund of Georgia;
- Eurasia Partnership Foundation;
- Georgian Arts & Culture Center;
- European Union;
- Community Development Journal;
- BMW Foundation;
- Visegrad Fund.

ჩვენი საქმიანობა (ძირითადი რაოდენობრივი მაჩვენებლები):

- 2015 წელს ვმუშაობდით თბილისსა და 11 მუნიციპალიტეტში (თელავის, სიღნაღის, ყვარლის, საგარეჯოსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში – აღმოსავლეთ საქართველოში, ჩოხატაურის, ოზურგეთის, აბაშის, მარტვილის, სენაკისა და ხობის მუნიციპალიტეტებში – დასავლეთ საქართველოში), ხოლო ზოგიერთი პროგრამის ფარგლებში – საქართველოს ყველა რეგიონში;
- ვახორციელებდით 9 საგრანტო პროექტს და 21 სერვის-კონტრაქტს;
- გამოვეცით 11 პუბლიკაცია (3 კვლევა, 3 ლიფლეტი, 2 ბროშურა, 1 სახელმძღვანელო, 1 კატალოგი, 2014 წლის წლიური ანგარიში);
- დამოუკიდებლად ან სხვა ორგანიზაციებთან და მოწვეულ ექსპერტებთან თანამშრომლობით ჩავატარეთ 67 ტრენინგი.

კერძოდ, ტრენინგები ჩაუტარდა:

- 146 საზოგადოებრივ და სათემო ორგანიზაციას (თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან);
- 53 თემის სათემო ჯგუფების/ორგანიზაციის წევრებს საქართველოს 15 მუნიციპალიტეტიდან;
- 75 საჯარო სკოლას საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან;

- კონსულტაცია გავუწიეთ 62 ორგანიზაციას (11 მუნიციპალიტეტსა და 51 საზოგადოებრივ ორგანი-ზაციას და სათემო ჯგუფს);
- სამოქალაქო მონიტორინგის ქსელმა, რომელსაც წარმართავს ჩვენი ორგანიზაცია, საქართველოს 11 მუნიციპალიტეტს მიაწოდა მრავალრიცხოვანი რეკომენდაციები საბიუჯეტო პროცესებისა და გამჭვირვალობის საკითხებზე, რომელთაგან 189 გათვალისწინებულია;
- 406 975 ლარის ოდენობის მიკროგრანტი გავეცით სათემო ორგანიზაციებზე, სოციალურ საწარმოებსა და სტუდენტებზე;

Our activities in 2015 (core quantitative indicators):

- In 2015 we were working in Tbilisi and 11 municipalities (Telavi, Sighnaghi, Kvareli, Sagarejo and Lagodekhi in the Eastern Georgia, Chokhatauri, Ozurgeti, Abasha, Martvili, Senaki and Khobi in the Western Georgia). At the same time, we also had some nationwide programs;
- We were implementing 9 grant programs and 21 service contracts;
- 11 publications (3 Studys, 3 Leaflets, 2 brochures, 1 Textbook, 1 Catalogue, 2014 Annual report) were published by us.
- Conducted 67 trainings independently or in cooperation with other invited experts.

In particular, trainings were conducted for:

- 146 civil society organizations (from Tbilisi and various regions of Georgia)
- Members of 53 village initiative groups/organizations in 15 Georgian municipalities ;
- 75 Public Schools in various regions of Georgia;

- Provided consultations for 62 organizations (11 municipalities and 51 non-governmental organi-zations)
- The Civil Monitoring Network, which is led by our organization, provided numerous recommendations to 11 Georgian municipalities regarding budgetary processes and transparency issues. 189 of the recommendations were taken into account.
- 406 975 worth micro-grants were awarded to CBOs, non-governmental organizations, social enterprises and students.

- ჩავატარეთ სხვადასხვა აქტუალური საკითხის 77 საჯარო განხილვა;
- საქართველოს რეგიონული ქსელის პარტნიორებთან ერთად მონიტორინგს ვუტარებდით 11 მუნიციპალურ ბიუჯეტს.

ცენტრის ძირითადი მიღწევები 2015 წელს

თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფუძნებულმა და მხარდაჭერილმა სათემო ცენტრებმა 2014 - 2015 საბიუჯეტო წლის პერიოდში თვითმმართველობებს მიუთითეს 304 ადგილობრივ პრობლემაზე, აქედან მოგვარდა 121 სხვადასხვა სახის პრობლემა.

სათემო ცენტრებმა დამოუკიდებლად, პროგრამის დახმარების გარეშე, განახორციელეს 21 ინიციატივა. ამაში იგულისხმება სხვა ფონდებიდან და მუნიციპალიტეტებიდან პრობლემების გადასაჭრელად მოპოვებული დაფინანსება.

«ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის» პროგრამის ფარგლებში დაფუძნებული და მხარდაჭერილი 14 ქალთა სათემო ჯგუფის გეგმების განხორციელების შედეგად ჩატარდა 190 სხვადასხვა ინიციატივა და ღონისძიება, რომელშიც 4392 მონაწილე იყო ჩართული.

ედინბურგში «თემის განვითარების ჟურნალი»-ს ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე «საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი»-ს მიერ წარდგენილმა ფილმმა - «გზის გადაღმა სოფელში» - დიდი მოწონება დაიმსახურა, ამჟამად იგი დამატებულია ერთერთი ბრიტანული უნივერსიტეტის კურიკულუმში, როგორც თემთან მუშაობის დადებითი შედეგების ილუსტრაცია.

2015 წელს სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაცემული მიკროგრანტების, ჩატარებული ტრენინგების და კონსულტაციების შედეგად საკუთარი ფინანსური და ორგანიზაციული მდგომარეობა გაიუმჯობესა 9 სოციალურმა საწარმომ. პროგრამის მიერ 2015 წელს მხარდაჭერილ სოციალურ საწარმოებში დასაქმებულია 22 ადამიანი, რომლებიც შრომის ბაზარზე ნაკლებად კონკურენტული ჯგუფების წარმომადგენლები არიან. სოციალურ საწარმოებში მათი დასაქმება საკუთარი შემოსავლის მიღებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობას აძლევს.

თვითმმართველობის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოქმედი სამოქალაქო მონიტორინგის ქსელის მიერ 2015 წელს სამიზნე მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდის მიზნით შემუშავებული იყო 76 რეკომენდაცია, რომლიდანაც გათვალისწინებულ იქნა 34.

2015 წელს საბიუჯეტო პროცესებში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით თვითმმართველობის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოქმედი სამოქალაქო მონიტორინგის ქსელის ექსპერტთა მიერ შემუშავებული იყო 65 რეკომენდაცია, რომელთაგან 44 ადგილობრივმა თვითმმართველობებმა გაითვალისწინეს.

- Organized 77 public hearing sessions on various important issues
- Together with partners from the Georgian regional network, monitored 11 municipal budgets.

Our main accomplishments in 2015:

During the 2014-2015 budget year, community centers that had been established under and supported by the Community Development Program presented to the self-governments 304 local problems, out of which, a total of 121 various problems have been solved.

Community centers independently implemented 21 initiatives without seeking support from the Program. Funds for solving the problems were raised from various foundations and from the municipalities.

190 various initiatives and events that engaged 4392 participants were organized by 14 community women's organizations established under the "Empowering women for change" program.

The movie - In the Village Across the Road - showed by the Center for Strategic Research and Development of Georgia at the international conference in Edinburg to commemorate the 50th anniversary of the Community Development Journal was warmly welcome by the audience. At present, the movie has been added to the curriculum of one of British Universities to illustrate positive outcomes of the work with communities.

In 2015, nine social enterprises improved their financial and organizational situation due to the micro-grants, trainings and consultations issued and delivered under the Promoting the Social Enterprising program. Social enterprises that were supported by the Program in 2015, provided jobs to 22 individuals representing less competitive groups on the labor market. Employment at the social enterprises gives those beneficiaries opportunities to have their own income and helps their integration into the society.

In 2015, The Civil Monitoring Network, that operates under the Development of the Self-Governance Program, developed 79 recommendations aimed at increasing the level of transparency and accountability in the target municipalities. Out of those, 34 recommendations have been taken into account.

Experts from the Civil Monitoring Network, which operates under the Community Development Program, prepared 65 recommendations to eliminate the shortcomings revealed during the 2015 budgeting processes. Out of those, the self-governments took 44 recommendations into their account.

As a result of the considered recommendations that were derived from the study carried out by CSRDG expert: the

ცენტრის „ექსპერტის“ მიერ განხორციელებული კვლევისა და შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად: პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსში და 2016 წლიდან საშემოსავლო გადასახადით მიღებული საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცემა მუნიციპალიტეტებს; ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად შესაძლებელი გახდა ერთობლივი (სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ან მუნიციპალიტეტის და სახელმწიფოს პარტნიორობით) პროექტების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის განსხვავებული ფორმატით (კერძოდ არაკომერციული იურიდიული პირის ჩამოყალიბების გზით) განვითარებას; გარდა ამისა, რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მუშაობა დაიწყო რეგიონული განვითარების კანონზე.

2015 წელს „ცენტრის“ ინიციატივით დაარსდა საქართველოს პრო ბონო ქსელი. „საქართველოს პრო ბონო ქსელათან“ თანამშრომლობით „ცენტრმა“ 2015 წელს წამოიწყო პრო ბონო სერვისების მედიაციის ინიციატივა. „პრო ბონო სერვისების მედიაციის ინიციატივა“ აკავშირებს ერთმანეთთან პრო ბონო კომპანიებსა და ბენეფიციარ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, კომპანიათა ექსპერტიზის სფეროებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საჭიროებების მიხედვით.

2015 წელს წარმატებით დასრულდა „ცენტრის“ ექსპერტების მიერ რძისა და რძის ნაწარმის ტექნიკური რეგლამენტის (რძის პროდუქტების საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული) შემუშავებაზე 2013 წელს დაწყებული ინტერესთა დაცვის კამპანია. 2015 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა აღნიშნული რეგლამენტი და 2015 წლის 1 აგვისტოს იგი ძალაში შევიდა.

2015 წელს მთავრობამ შეიმუშავა ხორბლის ფქვილისა და პურის ტექნიკური რეგლამენტი. აღნიშნულ საკანონმდებლო პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ „ცენტრის“ ექსპერტები, მათ მიერ შემუშავებული 4 რეკომენდაციიდან მთავრობამ საბოლოო პროექტში სრულად გაითვალისწინა 3.

2015 წელს „ცენტრის“ მიერ განხორციელებული კიდევ ერთი წარმატებული ინტერესთა დაცვის კამპანია ეხებოდა პროდუქტებში ტრანსცხიმების შემცველობას. პროგრამის ფარგლებში სურსათის უვნებლობის დადგენის მიზნით რეგულარულად მიმდინარეობს პროდუქტების ლაბორატორიული შემოწმება. შემოწმებების შედეგად დაგროვილი ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ ქართულ ბაზარზე იყიდება სპრედების სხვადასხვა ნაირსახეობები, რომლებიც შეიცავს დიდი რაოდენობის ტრანსცხიმებს. „ცენტრმა“ გამოაქვეყნა აღნიშნული ინფორმაცია, რის შემდგომაც ჯანდაცვის სამინისტროს სანიტარულ საკითხებში ექსპერტთა სამუშაო ჯგუფმა მოახდინა საკვებ პროდუქტებში ტრანსცხიმების შემცველობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტის მიღების ინიცირება.

Parliament passed amendments to the Budget Code and, as of 2016, a considerable part of budget revenues from the Income Tax will be transferred to the municipalities; Also, due to the amendments to the Self-Governance Code, implementation of joint projects (between different municipalities, or municipalities and the State) has become possible. This will assist inter-municipality cooperation in a different form (namely, by establishing a non-commercial legal entity); Besides, the Ministry of Regional Development and Infrastructure started working on the law on regional development.

In 2015, the Georgian Pro Bono Network was established based on CSRDG initiative. During the reporting year, in cooperation with the Georgian Pro Bono Network, CSRDG started a Pro Bono services mediation initiative - connecting Pro Bono companies and beneficiary civil society organizations by the areas of the companies' expertise and the needs of the civil society organizations.

In 2015, interests protection campaign on introducing technical regulations on milk and dairy products (based on international standards for dairy products) launched by CSRDG expert in 2013, was successfully completed. In April 2015, the Georgian Government approved the mentioned regulations, which was enacted on August 1, 2015.

In 2015, the Government developed technical regulations on wheat flower and bread. CSRDG experts are actively involved in the mentioned legislative process. Three out of the four recommendations developed by our experts were fully taken into account by the Government in the final version of the project.

Another successful interests protection campaign undertaken by CSRDG addressed the content of trans-fats in the products. Within the program, products laboratory testing is regularly carried out, aimed at determining product safety. Analysis of the information accumulated as a result of the tests revealed various types of spreads sold on the Georgian market that contain high quantities of trans-fats. CSRDG published this information. As a result, a work-group of experts on sanitary issues operating at the Ministry of Health initiated adoption of a normative act to regulate the amount of trans-fats in food items

ორგანიზაციის მმართველობის სტრუქტურა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

„ცენტრის“ ორგანიზაციული სტრუქტურა და მენეჯმენტი იმგვარად არის აწყობილი, რომ უზრუნველყოს ფუნქციათა და პასუხისმგებლობათა ცალსახა გადანაწილება და ყველა თანამშრომლის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

GOVERNANCE STRUCTURE AND STAKEHOLDER ENGAGEMENT

The organizational and management structure of CSRDG is designed to ensure a clear assignment of functions and responsibilities, and the inclusion of all employees in decision making processes.

ორგანიზაციის მმართველობის სტრუქტურა
Governance Structure



ორგანიზაციის უმაღლეს მმართველ ორგანოს წარმოადგენს ***გამგეობა***, რომელიც უზრუნველყოფს საწესდებო მიზნების განხორციელებას; ამტკიცებს ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, პროგრამებს, მათი განხორციელების ვადებსა და ხარჯთაღრიცხვას; ისმენს გამგეობის თავმჯდომარისა და აღმასრულებელი დირექტორის წლიურ პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშებს გაწეული საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ; ამტკიცებს წლიურ ბიუჯეტს; ზედამხედველობს ორგანიზაციის ფინანსების განკარგვას; აკონტროლებს იურიდიული და საბუღალტრო მოთხოვნების დაცვას.

გამგეობა შედგება 5 წევრისაგან. მათგან 3 წევრი არის ორგანიზაციისაგან დამოუკიდებელი წევრი, ხოლო ორი – ორგანიზაციის თანამშრომელი (კერძოდ, გამგეობის წევრები არიან ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების პროგრამის კოორდინატორი).

გამგეობის თავმჯდომარე იმავდროულად არის ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორიც.

გამგეობის წევრები არ იღებენ დამატებით ანაზღაურებას და მოხალისეობრივ საწყისებზე ასრულებენ მმართველობითი ორგანოს წევრის ფუნქციებს.

ორგანიზაციის გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს სამომავლოდ ეტაპობრივად გაზარდოს გამგეობის დამოუკიდებელ წევრთა რაოდენობა არსებული აღმასრულებელი წევრების ჩანაცვლების ან 1-2 ახალი წევრის დამატების გზით, რომელთაც ექნებათ გამოცდილება ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად სფეროებში და რომლებიც ახალ მოდგომებსა და ხედვას შემატებენ გამგეობის საქმიანობას.

გამგეობა არჩევით ორგანოს წარმოადგენს. გამგეობის პირველ შემადგენლობას ირჩევენ ორგანიზაციის დამფუძნებლები, ხოლო შემდგომში – კურატორიუმის წევრები (იხ. ქვემოთ), ოთხი წლის ვადით. გამგეობის თავმჯდომარეს ირჩეევენ გამგეობის წევრები საკუთარი შემადგენლობიდან, თავიანთი უფლებამოსილების ვადით (ანუ აგრეთვე 4 წლით).

გამგეობა, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ იკრიბება. საჭიროების შემთხვევაში ინიშნება აგრეთვე დამატებითი შეხვედრები, რისთვისაც საკმარისია გამგეობის წევრების სულ მცირე 1/3-ის მოთხოვნა.

აღმასრულებელი დირექტორი, რომელსაც გამგეობა ნიშნავს, წარმართავს ორგანიზაციის საქმიანობას გამგეობის მიერ შემუშავებული მიზნების და ამოცანების შესაბამისად. იგი წარმოადგენს ორგანიზაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში; უზრუნველყოფს ფინანსებისა და ქონების განკარგვას დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში; ახორციელებს ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების ოპერატიულ

The Board is the highest governing body that ensures the fulfillment of the statutory objectives of the organization; approves strategic development plans, programs, and terms of their implementation; hears the annual program and financial reports of the Chairman of the Board and Executive Director concerning the conducted activities and future plans; approves the annual budget of the programs; oversees the expenditure of the organization's funds; controls the observance of legal and accounting requirements.

The Board consists of five members, three of whom are independent and non-executive. The other two members serve CSRDG in an executive capacity, namely: executive director and program coordinator. The former is also the chairperson of the Board. Board members are volunteers and are not remunerated.

CSRDG's long-term objective is to gradually increase the number of independent Board members by either replacing current executive members or adding one or two new members who will already have experience in the main areas of the organization's activities and will bring new vision and approach to the Board's activity.

The Board is an elective body. At first, Board members are elected by the organization's founders, and later, the Curatorium elects the Board which serves for a period of four years.

The Board regularly meets twice a year. When necessary, additional board meeting can be convened if requested by 1/3 of the members of the Board.

The *Executive Director*, appointed by the Board, directs the organization's work in accordance with the objectives and plans elaborated by the Board. Responsibilities of the Executive Director include managing CSRDG's daily activities; presenting it at various levels; reporting on the Centre's current activity to the Board; controlling expenditure of the funds; day-today management of the finances and other tangible assets of the organization, as well as responsibility for their adequate utilization; ensuring unimpeded functioning of the organization and its sustainable development; staff recruitment and capacity building; implementation of other functions required for tactical management of CSRDG's activities.

In order to carry out activities in CSRDG's priority areas, programs and sub-programs have been developed

მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე. უზრუნველყოფს ორგანიზაციის მდგრად განვითარებას, წარუდგენს გამგეობას ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ანგარიშებს; იღებს სხვა გადაწყვეტილებას ორგანიზაციის საწესდებო მიზნების მისაღწევად.

ორგანიზაციისათვის პრიორიტეტული მიმართულებებით საქმიანობის წარმართვის მიზნით შემუშავებულია და მოქმედებს პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლებსაც ახორციელებენ შექმნილი სამუშაო ჯგუფები. მათ კოორდინირებას უწევენ ***პროგრამების კოორდინატორები*** (სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელები). პროგრამის კოორდინატორების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს პროგრამის საქმიანობის მართვა, მონიტორინგი და შეფასება, აგრეთვე პროგრამული ანგარიშების მომზადება. ისინი პასუხისმგებელინი არიან მათი უშუალო დაქვემდებარების ქვეშ მყოფი თანამშრომლების საქმიანობაზე.

პროგრამის კოორდინატორები, აღმასრულებელ დირექტორთან ერთად აგრეთვე შედიან **სათათბირო ორგანოს** _ ***შუალედური მმართვის რგოლის (დირექტორატის),*** შემადგენლობაში. დირექტორატი წარმართავს ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობას, ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში „ცენტრის“ ყველა ქვეპროგრამის კოორდინირებულ და თანაბარ მონაწილეობას. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, დირექტორატი იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს, აგრეთვე ასრულებს კონსულტანტის ფუნქციას აღმასრულებელი დირექტორის მიერ სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას. დირექტორატი, სულ მცირე, თვეში ერთხელ იკრიბება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირად.

„ცენტრს“ აგრეთვე ჰყავს ***სამეთვალყურეო ორგანო _ კურატორიუმი,*** რომელიც აკონტროლებს გამგეობის საქმიანობას და ორგანიზაციის მმართველობას კანონისა და წესდების საფუძველზე; აგრეთვე გამგეობის სხდომაზე წარადგენს საკონსულტაციო მოსაზრებებს ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი საქმიანობისა და სტრატეგიის შესახებ.

კურატორიუმი შედგება სამი წევრისაგან, რომელთაც ირჩევენ ფონდის დამფუძნებლები, განუსაზღვრელი ვადით. კურატორიუმის წევრები არ იღებენ დამატებით ანაზღაურებას და მოხალისეობრივ საწყისებზე მუშაობენ.

საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრული ვადით და კონკრეტული მიზნით გამგეობის გადაწყვეტილებით იქმნება **ექსპერტთა საბჭო,** რომელიც წარმოადგენს **საკონსულტაციო ორგანოს.** ექსპერტთა საბჭოს ძირითადი ფუნქციაა „ცენტრის“ მიერ განსახორციელებელი პროგრამების ექსპერტიზა.

which are implemented by work groups. The groups are coordinated by ***program coordinators*** (heads of the work groups). The main functions of the program coordinators are: management, monitoring and evaluation of the program activities, and preparation of program reports. They are also responsible for the activities of the personnel under their supervision.

Program coordinators and the executive director also form CSRDG's consultative body – ***the Intermediate Managerial Unit (IMU)*** or ***Directorate***. The aim of the middle managerial unit is to direct the daily activities of the organization and ensure equal participation by middle-level managers in decision-making on issues of various importance. Within its competence, the IMU takes independent decisions. Also, the unit has a consultative function regarding final decisions made by the Executive Director. The intermediate managerial unit meets with the Executive Director at least once a month, or more often if necessary.

The Curatorium is CSRDG's supervisory body which controls the Board's activities and the performance of the administration on the basis of the Law and Charter; and presents advisory opinion at the Board meetings concerning the activities and strategies to be implemented by the organization. The Curatorium has three members elected by the Centre's founders for an indefinite period of time. The members of the Curatorium work in a voluntary capacity.

If necessary, upon the Board's decision, one or several ***Expert Councils*** are created for a fixed period of time and a special purpose. The Expert Council represents CSRDG's advisory body. Its main function is the provision of expertise for program implementation.

ეკა ურუშაძე
Eka Urushadze

ლია თოდუა
Lia Todua

ეკა დათუაშვილი
Eka Datuashvili

ზურაბ ტატანაშვილი
Zurab Tatanashvili

ლელა ხოფერია
Lela Khoperia

ლევან ალაფიშვილი
Levan Alapishvili

თამარ გობეჯიშვილი
Tamar Gobejishvili

ლიკა დარჩია
Lika Darchia

ანი ნადირაშვილი
Ana Nadirashvili

მანანა მჭედლიშვილი
Manana Mchedlishvili

თამარ ხაჩიძე
Tamar Khachidze

ალექსანდრე რაიბული
Aleksandre Raibuli

გიგა ჩიტიშვილი
Giga Chitishvili

მაკა ასამბაძე
Maka Asambadze

ნინო ვასაძე
Nino Vasadze

მიშა გოგიჩაიშვილი
Misha Gogichaishvili

მარიამ შოთაძე
Mariam ShoTadze

ქეთი კაკაბაძე
Keti Kakabadze

ლევან როსტომაშვილი
Levan Rostomashvili

ნონა ალადაშვილი
Nona Aladashvili

ნანა ქარსელაძე
Nana Karseladze

დათო ჩიკვაიძე
Dato Chikvaidze

ქრისტინე კანდელაკი
Kristine Kandelaki

ნინო ქიტუაშვილი
Nino Kituashvili

სალომე ხუციშვილი
Salome Khutsishvili

თანამშრომელთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პორცესში

„ცენტრი“ ცდილობს ეფექტური კომუნიკაციისა და თანამონაწილეობითი მიდგომების მეშვეობით უზრუნველყოს, რომ ყველა თანამშრომლის აზრი მოსმენილი და შეძლებისდაგვარად გათვალიწინებული იყოს ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას.

ორგანიზაციაში შექმნილია და ფუნქციონირებს კომინუკაციისა და ინფორმაციის გაცვლის ჰორიზონტალური და ვერტიკალური მექანიზმები, კერძოდ:

- ყველა თანამშრომლის ყოველთვიური კრება, რომელზეც ნებსიმიერ თანამშრომელს შეუძლია თავისი მოსაზრების გამოთქმა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ორგანიზაციის მენეჯმენტთან.
- პროგრამების შიგნით რეგულარულად ტარდება პროგრამის მენეჯერისა და პროგარამის თანამშრომელთა შეხვედრები, რომელზეც თანამშრომლებს შუძლიათ პროგრამის მენეჯერთან დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია და აზრი;
- შუალედური მენეჯერული რგოლის (რომელიც შედგება პორგრამათა და მიმართულებათა კოორდინატორებისაგან) შეხვედრები თვეში ერთხელ ტარდება. ამ შეხვედრებზე პროგრამის კოორდინატორს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია წარმოადგინოს მისი პროგრამის რიგითი წევრების მოსაზრებები ან შენიშვნები;
- 6 თვეში ერთხელ ტარდება გამგეობის გეგმიური შეხვედრები, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოწყეყოს რიგგარეშე შეხვედრაც. ამ საბჭის შეხვედრებზე აღმასრულებელ დირექტორს შეუძლია წარმოადგინოს თანამშრომელთა მოსაზრებები და შენიშვნები, რომლებიც მანმადე მენეჯმენტის შუა რგოლის შეხვედრაზე დაფიქსირდა; საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია აღმასრულებელმა დირექტორმა მოითხოვოს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორის დასწრება გამგეობის სხდომაზე, სადაც მას უშუალოდაც შეუძლია წარმოადგინოს თანამშრომელთა მოსაზრებები.
- 6 თვეში ერთხელ ტარდება აგრეთვე პროგრამის ქსელის (ანუ ჩვენი ორგანიზაციისა და 2 პარტნიორი ორგანიზაციის) საკოოორდინაციო შეხვედრები, რომელზეც ჩვენი ორგანიზაციისა და პარტნიორი ორგანიზაციის წევრებს ასევე შეუძლიათ საკითხების წამოწევა და აზრის დაფიქსირება. ეს საკითხები შემდეგ განიხილებ;ა შუა მენეჯერული რგოლის შეხვედრაზე და საჭიროების შემთხვევაში მას „ცენტრის“ გამგეობა სხდომაზე გაიხილავს.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

„ცენტრისთვის“, როგორც სამოქალაქო ორგანიზაციისთვის, რომელსაც, ძირითადად, საზოგადოებრივი მიზნები ამოძრავებს, საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად

Employee engagement and participation in decision making

By effective communication and a participatory approach CSRDG tries to ensure that, when making important decisions for the organization, every employee's opinion is heard and taken into consideration as far as possible.

Horizontal and vertical mechanisms of communication and engagement are introduced and operate in the organization. In particular:

- General monthly meeting of all employees, where every employee can express his/her opinion and state his/her position to the organization's management.
- Within the programs, regular meetings are held between the program manager and program staff, where staff members can express their position and opinion.
- Meetings of the Intermediate Managerial Unit (comprised of program and direction coordinators) are held on a monthly basis, where, as needed, the program coordinator can present his/her staff members' opinions or comments.
- Regular Board meetings are held once half-yearly. If required, a special meeting can also be convened. The Executive Director can present to the Board employees' opinions and comments expressed at the IMU meetings. The Executive Director can also request the attendance of the respective program coordinator at the Board meeting, where the program coordinator is able to directly present the staff's opinions.
- The program Network's coordination meetings are also held once every six months, where members of our organization and our two partner organizations are able to raise issues and state their opinions. The issues are later discussed at IMU meetings and, if necessary, also at the Board meetings.

STAKEHOLDER ENGAGEMENT

Being a civil organization and driven primarily by social goals, CSRDG considers communication with our numerous stakeholders to be one of the main components of our activities. As a rule, within every new program, or prior to starting a new stage in an existing one, our target groups and stakeholders are identified and the communication and feedback processes planned.

Our main stakeholders are:

- Organization's employees
- Donors

კომპონენტს სწორედ ჩვენს მრავალრიცხოვან დაინტერესებულ მხარესთან კომუნიკაცია წარმოადგენს. ყოველი ახალი პროგრამის ფარგლებში ან საქმიანობის ახალი ეტაპის დასაწყისში, როგორც წესი, ხდება სამიზნე ჯგუფებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია და იგეგმება მათთან კომუნიკაციისა და უკუკავშირის მიღების პროცესი.

ჩვენი ორგანიზაციის ძირითადი დაინტერესებული მხარეებია:

1. ორგანიზაციის თანამშრომლები;
2. დონორები;
3. სამოქალაქო ორგანიზაციები (თბილისისა და რეგიონების პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები, სოფლის საინიციატივო ჯგუფები);
4. ჩვენი სამიზნე მუნიციპალიტეტები;
5. ცენტრალური მთავრობის ცალკეული სამინისტროები, რომლებთანაც ორგანიზაციას აქვს ურთიერთობა საქმიანობის პროცესში;
6. ქართული ბიზნეს კომპანიები, რომლებიც დაინტერესებული არიან კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვით;
7. ქართული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, სადაც ისწავლება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საგანი, ან იგეგმება ზემოაღნიშნულის დანერგვა;
8. ჩვენი პუბლიკაციების ადრესატები - კვლევითი ინსტიტუტები და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, აგრეთვე სხვადასხვა სფეროს ექსპერტები;
9. ორგანიზაციის ექსპერტთა ქსელის წევრები;
10. ჩვენს მიერ ჩატარებული ტრენინგების ბენეფიციარი ორგანიზაციები;
11. მას-მედიის საშუალებები.

ჩვენს ორგანიზაციას მუდმივად აქვს კავშირი საკუთარი დაინტერესებული მხარეების მრავალრიცხოვან ჯგუფებთან მათი მოლოდინებისა და მოთხოვნების გამოსავლენად, აგრეთვე ორგანიზაციის საქმიანობით კმაყოფილების დონის შესაფასებლად.

თითოეულ ჯგუფთან სხვადასხვა მეთოდით ხდება კომუნიკაცია.

თანამშრომლებს, რომლებიც ორგანიზაციის დაინტერესებულ მხარეთა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენენ, ყოველდღიურად ეგზავნებათ დაიჯესტები, რომელშიც მოკლედ არის აღწერილი ორგანიზაციაში მიმდინარე პროგრამების სიახლეები. გარდა ამისა, რეგულარულად (თვეში ერთხელ) ტარდება პერსონალის ერთიანი შეხვედრები, რომლებზეც პროგრამების კოორდინატორები დანარჩენ თანამშრომლებს აცნობენ თითოეული პროგრამის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობას და უახლოეს სამომავლო გეგმებს. ამ შეხვედრებზე თანამშრომლებს შეუძლიათ აგრეთვე დასვან შეკითხვები და წამოსწიონ და განიხილონ ნებისმიერი ორგანიზაციული, თუ პროგრამული საკითხი, რომელიც მათი აზრით რაიმეს შეცვლას ან დახვეწას საჭიროებს.

დონორებისათვის გარკვეული რეგულარობით მზადდება საქმიანობის პროგრამული და ფინანსური ანგარი-

- Civil organizations (partner non-governmental organizations from Tbilisi and other regions, village initiative groups)
- Our target municipalities
- Some of the ministries, with which the organization interacts during our activities
- Georgian private companies interested in the implementation of the corporate social responsibility;
- Georgian universities where the corporate social responsibility is included or is planned to be into the curriculum;
- Addressees of our publications - research institutes and colleges/universities, as well as experts from various spheres
- Members of the CSRDG's network of experts
- Beneficiary organizations of the trainings held by us
- Media sources

Our organization constantly stays in touch with numerous groups of its stakeholders, in order to identify their expectations and needs, as well as to evaluate their level of satisfaction with the organization's activity.

A variety of communication methods is applied for different stakeholder groups.

Our employees, one of the most important groups of the organization's stakeholders, are sent daily digests with brief news about our ongoing programs. Besides, general staff meetings are held regularly (monthly), where each program coordinator presents the activities and future plans for their respective programs. During the meetings the personnel are able to ask questions and raise or discuss any organizational or program related issue, which, in their opinion, need to be improved.

Our financial and program reports are regularly prepared for the *donors*, and future action plans are presented. Feedback is provided by means of comments on the reports or action plans. Co-ordination and consultation meetings are also held regularly with target groups or partner civil organizations (rural community groups, coalition member non-governmental organizations from Tbilisi, or our regional partner NGOs). These provide opportunities for sharing experience, aligning different positions, discussing issues and planning future activities.

The organization regularly invites our interlocutory *government representatives*, as well as *various spherical experts* and *addressees of our publications*, to seminars and public hearings organized by us, where opinions are expressed and exchanged. Recommendations made by

შები და წარედგინებათ სამომავლო საქმიანობის გეგმები. უკუკავშირის მიღება ხოციელდება აღნიშნულ ანაგრიშებსა თუ სამოქმედო გეგმესა და პროგრამებზე კომენტარების სახით. გარდა ამისა, ტარდება საკონსულტაციო-საინფორმაციო შეხვედრები.

სამიზნე თუ პარტნიორ *სამოქალაქო ორგანიზაციებთან* (იქნება ეს სოფლის სათემო ჯგუფები, კოალიციის წევრი თბილისის არასამთავრობო ორგანიზაციები თუ ჩვენი რეგიონული პარტნიორი არასამთავრობოები) რეგულარულად ტარდება საკოორდინაციო და საკონსულტაციო შეხვედრები, რომლებზეც ხდება გამოცდილების გაზიარება, პოზიციების შეჯერება, წამოჭრილი პორბლემების განხილვა და სამომავლო საქმიანობათა დაგეგმვა.

სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლებს, რომლებთანაც ორგანიზაცია ურთიერთქმედებს საქმიანობის პროცესში, აგრეთვე *სხვადასხვა სფეროს ექსპერტებსა და ჩვენი გამოცემების ადრესატებს* ორგანიზაცია რეგულარულად იწვევს მის მიერ მოწყობილ სემინარებსა და საჯარო განხილვებზე, რომლებზეც ხდება პოზიციების დაფიქსირება და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. „ცენტრის“ მიერ სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურისათვის მიწოდებული რეკომენდაციები აგრეთვე ხშირად განიხილება ერთობლივ სამუშაო შეხვედრებზე.

გარდა ამისა, ჩვენს „ბიულეტენში“ გამოქვეყნებული სტატიების ავტორებს (ანუ *„ცენტრის“ ექსპერტთა ქსელის წევრებს*) პროგრამების კოორდინატორები რეგულარულად აცნობენ „ცენტრის“ კვლევითი საქმიანობისათვის დასახულ გეგმებს. ავტორებს შესაძლებლობა აქვთ შეიტანონ გარკვეული კორექტივები ამ გეგმებში და, მაგალითისათვის, შესთავაზონ პროგრამის კოორდინატორებს რაიმე დამატებით საინტერესო და აქტუალურ საკითხზე კვლევის ჩატარება.

ჩვენს სამიზნე *ბიზნეს კომპანიებთან* კომუნიკაცია ძირითადად ხორციელდება სხვადასხვა სახის ფორუმებზე და სამუშაო შეხვედრებზე, როგორიცაა „გლობალური შეთანხმების“ რეგიონული ქსელის სამუშაო შეხვედრები, ამერიკის სავაჭრო პალატასთან დაარსებული „სოციალური პასუხისმგებლობის საბჭოს“ სამუშაო შეხვედრები, სოციალური პასუხისმგებლობისადმი მიძღვნილი სხვადასხვა კონფერენცია და სემინარი და სხვა.

ჩვენი სერვისების (ტრენინგებისა და კონსულტაციების) ბენეფიციარებისგან უკუკავშირის მიღება ხორციელდება სპეციალური კითხვარების მეშვეობით, რომლებიც ურიგდებათ ტრენინგის მინაწილეებს, აგრეთვე სპეციალური გამოკითხვების მეშვეობით.

ხოლო *მასმედიის საშუალებებს* პრეს-რელიზების და განცხადებების სახით რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია ჩვენი საქმიანობის შესახებ. ორგანიზაცია აგრეთვე ყოველდღიურად აწარმოებს ძირითადი მედიასაშუალებების კონტენტ-ანალიზს, რომლის შედეგად გამოვლენილ მნიშვნელოვან საკითხებზე კეთდება ორგანიზაციების ექსპერტების კომენტარები და მიეწოდება შესაბამის მედია საშუალებებს. საჭიროების შემთხვევაში ეწყობა პრესკონფერენციები და სადისკუსიო შეხვედრები მედიასთან, სადაც მედიის წარმომადგენლებს შეუძლიათ მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო შეკითხვებზე.

დაინტერსებული მხარეების ინფორმირებისა და მათთან კომუნიკაციის ინსტრუმენტს წარმოადგენს აგრეთვე ჩვენი ვებგვერდი და ჩვენი პუბლიკაციები (რეგულარული

CSRDG to various government agencies are also often discussed at joint work meetings.

Furthermore, program coordinators regularly inform the authors of the articles published in our bulletins (*members of CSRDG's network of experts*) about the plans made for our research activity. The authors have opportunities to make certain corrections in the plans and offer suggestions (e.g. recommend program coordinators to conduct research on some other additional or relevant issues).

We mainly communicate with our target private companies at different forums and workshops, such as meetings of the regional network of the Global Compact, meetings organized by the Social Responsibility Council of the American Chamber of Commerce and various conferences and seminars dedicated to the social responsibility etc.

Feedback from the *beneficiaries of our services* (trainings and consultations) is received through special questionnaires that are distributed to the participants as well as through special surveys.

Media sources are regularly provided with information about our activities through press-releases and other hand-outs. We conduct daily content analysis of the main media sources, and our experts' special comments on any important issues identified are provided to the respective Media. If needed, press-conferences and discussions with the Media are organized, where they can obtain answers on questions of interest to them.

Other instruments for keeping the stakeholders informed and communicating with them are our internet website and our publications (regular bulletins, annual reports and other publications). CSRDG's contact details, as well as a request to contact us and give us feedback, is provided on the website and published in every bulletin. This is quite an active mechanism, and readers of our publications or website visitors regularly call CSRDG with various questions or comments. The comments received are collected, discussed and considered when planning our next activities.

The Centre also conducts fairly regular sociological research with various target groups aimed at measuring their satisfaction level with our activities and identifying any existing problems. Based on the survey results, changes are made in the current projects and future strategy planned.

ბიულეტენი, წლიური ანგარიში და სხვა გამოცემები). როგორც ვებგვერდზე, ისე ყველა ჩვენს გამოცემაში განთავსებულია „ცენტრის“ საკონტაქტო ინფორმაცია და თხოვნა, დაგვიკავშირდნენ და მოგვაწოდონ საკუთარი მოსაზრებები და შენიშვნები. ეს მექანიზმი საკმაოდ ქმედითია – „ცენტრში“ რეგულარულად რეკავენ ჩვენი გამოცემებისა თუ ვებგვერდის მომხმარებლები სხვადასხვა სახის შეკითხვითა თუ კომენტარით. გამოთქმული მოსაზრებები აღინიუსხება, განიხილება და გათვალისწინებულია შემდგომი საქმიანობის დაგეგმვისას.

„ცენტრი“ აგრეთვე გარკვეული რეგულარობით ატარებს სოციოლოგიურ გამოკითხვებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან, ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებით მათი კმაყოფილების დონის შეფასებისა და წამოჭრილი პრობლემების გამოვლენის მიზნით. კვლევების შედეგებზე დაყრდნობით ხდება ცვლილებების შეტანა მიმდინარე პროექტებში და სამომავლო სტრატეგიის დაგეგმვა.

პროგრამული საქმიანობის ანგარიში

ცენტრის სამწლიანი პროგრამა (2014-2016 წწ.)

ცენტრის სამწლიანი პროგრამა ემსახურება ორგანიზაციის მისიის მიღწევას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სამთავრობო, სამოქალაქო და ბიზნესსექტორების ერთობლივ ეფექტიან მონაწილეობას საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესებში და სამივე სექტორის სოციალური პარტნიორობის ჩამოყალიბების მეშვეობით ქვეყნის სოციალურად დაუცველი ფენების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

ამ პროგრამული მიზნის მისაღწევად ორგანიზაციას შემუშავებული აქვს საქმიანობის განხორციელების სხვადასხვა სტრატეგია:

- ინტერესთა დაცვის კამპანიები სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ საკითხებზე;
- საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების/საკითხების მიტანა გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე;
- საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობა კოალიციური და ქსელური მუშაობის სტიმულირებით;
- სამთავრობო პროგრამებისა და რეფორმების განხორციელების მონიტორინგი;
- მუნიციპალიტეტების საქმიანობის მონიტორინგი და ანგარიშვალდებულების გაზრდის ხელშეწყობა;
- თემის/სოფლის განვითარება;
- ეროვნული და ადგილობრივი დონის არასამთავრობო ორგანიზაციების და საჯარო სკოლების ტექნიკური დახმარება (კონსულტაციები და ტრენინგები);
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა, ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზით;
- ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა.

„ცენტრი“ თავის საქმიანობას ქსელურ-კოალიციურ პრინციპებზე დაყრდნობით წარმართავს თბილისსა და საქართველოს 11 სამიზნე რაიონში – ლაგოდეხი,

PROGRAM REPORT ON OUR ACTIVITY

CSRDG's Three Year (2014 – 2016) Program

CSRDG's Three Year Program aims to achieve the organisation's mission - supporting mutual effective participation of the governmental, public and business sectors in the processes of the democratic development of Georgia and, by establishing social partnership among all three sectors, promoting improvements in the quality of life of socially unprotected population.

In order to achieve these program objectives, the organisation has developed various implementation strategies:

- Advocacy campaigns on State policy priority issues;
- Raise problems/issues which are relevant to the public to the decision makers;
- Support to increase the effectiveness of activities, by stimulating coalition and network types of work;
- Monitoring the implementation of government programs and reforms;
- Monitoring municipality activities and support in increasing their accountability;
- Community/rural development;
- Technical support (consultations and training) to national and local non-governmental organisations and public schools;
- Support for civil society development, by creating a favourable environment;
- Popularisation of Corporate Social Responsibility (CSR) and participation in the development of State policies for SCR support.

CSRDG undertakes its activities in a network-coalition form. In Tbilisi and the 11 municipalities of Georgia - Lagodekhi, Ozurgeti, Chokhatauri, Sighnaghi, Telavi, Kvareli, Sagarejo, Abasha, Martvili, Senaki and Khobi - community development and municipality monitoring activities are being carried out by a Network created under the program. Network is coordinated by CSRDG and includes local civil society organizations and community based organizations in Kakheti, Guria and Samegrelo regions. Program activity in Telavi is led by CSRDG's Telavi Bureau. Activities carried out through the Network make it possible to identify local problems, better understand their specific nature, and generalise these to the national level.

Three sub-programs are being implemented under the Three Year Program - Strengthening Civil Society Institutions; the Promotion of Good Governance; and Promotion of the Development of Corporate Social Responsibility.

ოზურგეთი, ჩოხატაური, სიღნაღი, თელავი, ყვარელი, საგარეჯო, აბაშა, მარტვილი, სენაკი და ხობი _ თემის განვითარებისა და მუნიციპალიტეტების მონიტორინგის მიმართულებით საქმიანობა მიმდინარეობს პროგრამის ფარგლებში შექმნილი ქსელის საშუალებით, რომელშიც „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ კოორდინირებით ჩართულია კახეთის, გურიისა და სამეგრელოს რეგიონებში მოქმედი ადგილობრივი საზოგადოებრივი და სათემო ორგანიზაციები. თელავში პროგრამის საქმიანობას „ცენტრის“ თელავის ბიურო წარმართავს. ქსელურად განხორციელებული საქმიანობა რაიონებში არსებული პრობლემების გამოვლენის, მათი სპეციფიკის უკეთ გააზრებისა და ეროვნულ დონეზე მათი განზოგადების შესაძლებლობას იძლევა.

სამწლიანი პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სამი ქვეპროგრამა: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერება; კარგი მმართველობის ხელშეწყობა; კორ-პორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვი-თარების ხელშეწყობა.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერების პროგრამა

პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს ადგილობრივი, რე-გიონული და ეროვნული დონის საზოგადოებრივი ორ-განიზაციების ინსტიტუციურ და ფინანსურ მდგრადობას, რათა ისინი ადეკვატურად მოემსახურონ და ეფექტიანად წარმოაჩინონ საკუთარი სამიზნე ჯგუფების ინტერესები.

პროგრამის მიზნის მისაღწევად **შემუშავებული სტრატეგია** გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობას ხელსაყრელი სამოქმედო გარემოს შექმნის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების ტექნიკურ-ინფორმაციული და ფინანსური დახმარების გზით.

პროგრამა მოიცავს როგორც **ეროვნულ**, ასევე **ადგი-ლობრივ დონეს** და მიმდინარეობს ორი ძირითადი მი-მართულებით. მათ ფარგლებში საქმიანობის წარმართვის მიზნით შემუშავებულია ქვეპროგრამები: **საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება და თემის განვითარება.**

თემის განვითარების ქვეპროგრამა

თემის განვითარების პროგრამა მიზნად ისახავს ადგი-ლობრივი სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციების მენეჯმენტის, ფინანსების მოძიებისა და ინტერესთა და-ცვის უნარების გაუმჯობესებას, რათა მათ უკეთ შეძლონ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების წამოწევა და მათი ადგილობრივ ხელისუფლებასთან ლობირება.

პროგრამის სტრატეგია გულისხმობს:

- საქართველოში მოქმედი სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციებისთვის საინფორმაციო და ტექნიკური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;

PROGRAM - STRENGTHENING CIVIL SOCIETY INSTITUTIONS

The program goal is to promote institutional and financial sustainability of the civil society organizations on the local, regional and national levels to enable them provide adequate services to the target groups and effectively represent their interests.

The **developed strategy** to accomplish the program goal envisages promotion of civil society development by creating a favorable action environment, and providing technical-informative and financial assistance to non-governmental organizations and community groups/organizations.

The program covers both the **national** and the **local levels** and has two main directions represented by the following sub-programs: **Development of Civil Society Organizations,** and **Community Development.**

SUB-PROGRAM - COMMUNITY DEVELOPMENT

The goal of the Community Development sub-program is to improve management of local non-governmental organizations, raise their fundraising and interests advocating skills, enable them to better represent the needs of the local population and lobby their interests with the local government.

The Program strategy implies the following:

- Provide access to information and to technical resources for the community groups and organizations operating in Georgia;
- Provide intensive assistance to the program target community groups on organizational development topics, and issue them micro-grants.

Geographic coverage of the program was expanded last year, adding Samegrelo region to Guria and Kakheti. Respectively, the number of program target community groups and organizations increased. In 2015, the program continued intensive activity with 23 community groups and organizations.

Providing access to information and technical resources for community groups and organizations operating in Georgia.

Community Development Resource Center, the web-portal (www.cdrc.ge.), *the database of the community groups and organizations, mobilization of social networks.*

Created in 2011 on the basis of the Center for Strategic Research and Development of Georgia, the Community Development Resource Center started active operations in 2012-2013. The Resource Center developed a constantly updated database of the community groups and

- პროგრამის სამიზნე სათემო ჯგუფების ინტენსიურ დახმარებას ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით და მათთვის მიკროგრანტების გაცემას.

გასულ წელს გაფართოვდა პროგრამის გეოგრაფიული დაფარვის არეალი. გურიის და კახეთის რეგიონებს დაემატა სამეგრელო. შესაბამისად გაიზარდა პროგრამის სამიზნე სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციების რიცხვი. 2015 წელს პროგრამამ 23 სათემო ჯგუფსა და ორგანიზაციასთან გააგრძელა ინტენსიური საქმიანობა.

საქართველოში მოქმედი სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციებისთვის საინფორმაციო და ტექნიკური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

თემის განვითარების რესურსცენტრი, ვებპორტალი (www.cdrc.ge), სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა, სოციალური ქსელების მობილიზება.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბაზაზე 2011 წელს შეიქმნა და 2012-2013 წლებში აქტიურად ამუშავდა თემის განვითარების რესურსცენტრი. რესურსცენტრის მიერ შემუშავდა საქართველოში მოქმედი სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციების მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზა, რომელშიც ამჟამად შეტანილია ინფორმაცია 130 სათემო ჯგუფსა და ორგანიზაციაზე. თემის განვითარების რესურსცენტრმა 2011 წლიდან წარმატებით აამოქმედა ვებპორტალი – www.cdrc.ge. ასევე, ფეისბუკზე შექმნილია თემის განვითარების რესურსცენტრის სპეციალიზებული გვერდი.

2015 წელს ბაზაში რეგისტრირებულმა ნახევარზე მეტმა ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო რესურსცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, ასევე რეგულარულად გვიკავშირდებოდა (სატელეფონო და ელექტრონული არხებით) სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიღების მიზნით.

რესურსცენტრის მონაცემთა ბაზაში გაერთიანებულ ორგანიზაციებს მუდმივად მიეწოდებათ თემატური ინფორმაცია განხორციელებულ საინტერესო პროექტებზე, გამოცხადებულ კონკურსებსა და მიმდინარე სიახლეებზე.

ერთობლივი შეხვედრები, სემინარები, კონსულტაციები, ტრენინგები.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს რესურსცენტრი სთავაზობს კონსულტაციებს, ასევე ტრენინგებში, თემატურ სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას.

2015 წელს ორგანიზებული სემინარებისა და ტრენინგების თემის შერჩევა ხდებოდა სათემო ჯგუფების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ამ მიზნით ჩატარდა კვლევა და რესურსცენტრის ბაზაში გაერთიანებული 40 სათემო ორგანიზაციის გამოკითხვის საფუძველზე შეირჩა ტრენინგების, სემინარების და შეხვედრების თემატიკა.

ტრენინგები

სათემო ჯგუფის და ორგანიზაციისთვის 51 წევრისთვის ჩატარდა 3 ტრენინგი, რომლის თემატიკა იყო:

- პროექტის წერა და პროექტის მართვა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობის მიმართულებით ადგილობრივი მოსახლეობის გაძლიერება;
- პრეზენტაციის უნარები.

organizations operating in Georgia, and currently contains information on 130 such groups and organizations. Since 2011, the Resource Center has been successfully operating the web-portal www.cdrc.ge. Besides, a special Facebook page for the Community Development Resource Center has been created.

In 2015, more than half of the organizations registered in the database took part in a number of events organized by the Resource Center. They were also regularly contacting CSRDG (through the phone and email) for various types of information.

Thematic information on the implemented interesting projects, the announced calls for competition, and the ongoing news is constantly sent to the organizations listed in the Resource Center database.

Joint meetings, seminars, consultations, trainings

The Resource Center offers consultations to the interested organizations, as well as participation in trainings, thematic seminars and workshops.

In 2015, seminar and training topics were selected considering interests and needs of the community groups. For this purpose, a study was carried out and topics for the trainings, seminars and meetings were selected based on the survey of 40 community organizations listed in the database.

Trainings

Three trainings were held for 51 members of community groups and organizations, addressing the following issues:

- Project writing and project management;
- Empowering local residents for their participation in decision making processes;
- Presentation skills.

რესურსცენტრი ასევე სთავაზობს საკუთარ მომსახურებას თემთან მომუშავე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. 2015 წელს სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებს დაკვეთით რესურცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგები იყო:

- ორგანიზაციის «გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში» დაკვეთით 12 თემის ლიდერისთვის ჩატარდა ტრენინგი «თემთან მუშაობის უნარები»;
- «სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის» დაკვეთით ორგანიზაციის ერთერთი პროექტის ბენეფიციარებისთვის ჩატარდა 2 ტრენიგი თემაზე «თემთან მუშაობა და ეფექტური კომუნიკაცია»;
- «გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში» დაკვეთით ტრენინგი «თემთან მუშაობის უნარები» ჩატარდა ორგანიზაციის ერთერთი პროექტის ბენეფიციარებისთვის.

სემინარები

სამეგრელოს და კახეთის რეგიონის სათემო ჯგუფებისათვის და ორგანიზაციებისთვის ჩატარდა თემატური სემინარები.

სემინარების თემატიკა გახლდათ:

- ნარჩენების მართვა;
- ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული სურსათის უვნებლობის ვალდებულებები;
- ქართველ მომხმარებელზე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გავლენა.

ცენტრის მიერ ორგანიზებულმა ტრენინგებმა და სემინარებმა ხელი შეუწყო მონაწილეთა უნარების განვითარებას, ცოდნის შეძენას მათთვის საჭირო და აქტუალურ საკითხებზე, ასევე დაანახა მათ მიღებული გამოცდილების პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობები.

ერთობლივი შეხვედრები და ღონისძიებები

თემის განვითარების რესურსცენტრის მიერ ორგანიზებული ერთობლივი შეხვედრები და ღონისძიებები ერთი მხრივ ემსახურება სათემო ორგანიზაციებში დაგროვილი გამოცდილების გაზიარებას, ხოლო მეორე მხრივ ხელს უწყობს სათემო ორგანიზაციების, სამთავრობო სტრუქტურებისა და თემის განვითარებით დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ ერთმანეთში ინფორმაციის ურთიერთგაცვლას და პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას.

2015 წელს ჩატარებული ერთობლივი შეხვედრები:

- თემის ლიდერთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო საქართველოს ყველა რეგიონიდან 45 საზო-

The Resource Center also offers services to civil society organizations that work with communities. Commissioned by various civil society organizations, the Resource Center conducted following trainings in 2015:

- A training “Community Work Skills”, commissioned by Global Initiative on Psychiatry (GIP), was held for leaders of 12 communities;
- Two trainings on “Community Work and Effective Communication” were commissioned by the Civil Society Institute and held for beneficiaries of one of its projects;
- Global Initiative on Psychiatry (GIP) commissioned a training on “Community Work Skills” for beneficiaries of one if its projects.

Seminars

Thematic seminars were held for community groups and organizations in Samegrelo and Kakheti regions.

The seminars addressed the following topics:

- Waste management;
- Food safety commitments required by the EU-Georgia Association Agreement;
- The impact of the EU-Georgia Association Agreement and the Deep and Comprehensive Free Trade Agreement on Georgian customers.

Joint meetings and events

Joint meetings and events organized by the Community Development Resource Center on the one hand help share experience accumulated in the community organizations, and, on the other hand, assist to information exchanging and establish partnership relations between community organizations, governmental agencies, and organizations interested in community development.

გადოებრივი და სათემო ორგანიზაციის და ქალთა საინიციატივო ჯგუფის 77 წარმომადგენელი. კონფერენციის მიზანი გახლდათ სათემო ჯგუფებსა და ორგანიზაციებს შორის გამოცდილების გაზიარება, ახალი კავშირების დამყარება, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაზე ინფორმაციის გაზიარება და სათემო ორგანიზაციების საჭიროებების გამოვლენა.

- პროექტის «ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის» ფინალური კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოში მოქმედი სათემო ორგანიზაციები, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, სულ 120 მონაწილე. ღონისძიებაზე საუბარი იყო პროექტის შედეგებზე, სოციალურ მეწარმეობაზე, როგორც განვითარების ახალ შესაძლებლობაზე და ნარჩენების მართვის სახელმწიფო პოლიტიკაზე.

Joint meetings held in 2015:

- Community leaders conference that was attended by 77 representatives of 45 civil society organizations, community organizations and the women's initiative group from all regions of Georgia. The goal of the conference was experience sharing between community groups and organizations, establishing of new relations, information exchange on various State programs, and identification of the needs of community organizations.
- The final conference for the "Empowering women for change" project. The conference was attended by a total of 120 representatives of community organizations operating in Georgia, as well as those from local and international organizations. The discussions addressed issues on the project outcomes, social enterprising as a new development opportunity, and the State policy of waste management.

(დაწვრილებით ტრენინგების და სემინარების თემატიკა და სტატისტიკა იხ. დანართში №4),

(More details on the training and seminar topics and statistics is available in Annex №4),

გამოცდილების გაზიარების ტურები

გამოცდილების გაზიარების მიზნით რეგიონებში მოეწყო 2 გაცნობითი ტური, რომლის ფარგლებშიც ჯერ დასავლეთ საქართველოდან და ქართლიდან (სამეგრელო, ოზურგეთი, გორი, წაღვერი) თემის ლიდერები ესტუმრნენ კახეთში მოქმედ სათემო ორგანიზაციებს, ხოლო მეორე ტურის მსვლელობაში სამეგრელოს სათემო ორგანიზაციებმა უმასპინძლეს კახეთის სათემოებს. შედეგად ორგანიზაციემა უფრო ახლოს გაიცნეს ერთმანეთის საქმიანობა, გაუზიარეს გამოცდილება და გაცვალეს იდეები.

Experience sharing tours

Two tours were organized to the regions aimed at sharing experience among community groups. At first, community leaders from Western Georgia (Samegrelo, Ozurgeti, Gori and Tsagveri) visited active community organizations in Kakheti. In return, for the second visitation tour, community organizations in Samegrelo hosted leaders of Kakheti community organizations. As a result, the organizations were able to look at each other's activities first-hand, share experience and exchange ideas.

ნარჩენების მართვის ახალი მიდგომები კახეთის რეგიონში

2015 წელს «სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი» აქტიურად მუშაობდა კახეთის რეგიონის 53 სოფლის თემში სოფლის დონეზე არსებული ნარჩენების მართვის საკითხების კვლევასა და მათ გადაჭრაში თემის ზრდასრული და მოზარდი მოსახლეობის ჩართვაზე, ასევე, ნარჩენების მართვის საკითხების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე. კერძოდ, «ცენტრმა» სამიზნე თემების საჯარო სკოლებში ჩამოაყალიბა და გააძლიერა არაფორმალური ეკო-კლუბები, ჩართო ისინი ნარჩენების მართვის ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაში, ზრდასრულ მოსახლეობასთან ერთად, რომელმაც ასევე მონაწილეობა მიიღო ნარჩენების მართვის სათემო სამოქმედო გეგმების შემუშავებაში.

ცენტრის მიერ ჩატარებული კონკრეტული საქმიანობები მოიცავდა:

- სამიზნე თემების წარმომადგენლების ჩართვას ნარჩენების მართვის სათემო სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და ადვოკატირებაში;
- ნარჩენების მართვის საკითხებზე სოფლის ზრდასრული წევრებისა და მოზარდების სამოქალაქო აქტიურობისა და ცნობიერების ზრდას, მათი საკლასო სწავლებითა და დასუფთავების აქციებში ჩართვით, სასკოლო კონკურსებისა და საჯარო დისკუსიების მოწყობით;
- ნარჩენების მართვაში თემის მონაწილეობის სახელმძღვანელოს მომზადებას, გამოქვეყნებას და სამიზნე თემებში გავრცელებას;
- კახეთის სოფლის მოსახლეობისათვის ნარჩენების მართვის საჭირბოროტო საკითხების და მათი გადაჭრის გზების შესახებ 9 წუთიანი დოკუმენტური ფილმის გადაღებას.

გაწეული საქმიანობის შედეგად შემუშავდა თემის პროფილი, გამოვლინდა ნარჩენების მართვაში მოსახლეობისთვის პრიორიტეტული საკითხები და ღონისძიებები, მომზადდა ნარჩენების მართვის სათემო სამოქმედო გეგმები და მოხდა მათი ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა. აღსანიშნავია, რომ ნარჩენების თანამონაწილეობითი მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი წარმოადგენს თემის ცნობიერების ამაღლებისა და მობილიზების, ადგილობრივ თვითმმართველობებში ნარჩენების მართვის პრობლემების ლობირების და მოსახლეობის ინტერესების დაცვის ქმედით ინსტრუმენტს. თემის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმები შესაძლოა გახდეს ადგილობრივი თვითმმართველობების ნარჩენების მართვის მუნიციპალურ გეგმების შემადგენელი ნაწილი და გადაიქცეს მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის დეგეგმვის და აღსრულების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის კარგ ბაზისად.

New approaches to waste management in Kakheti region

In 2015, the Center for Strategic Research and Development of Georgia was actively working in communities of 53 villages of Kakheti, conducting a study on waste management issues and the involvement of adult and adolescent population of the community in solving the mentioned problem, as well as on raising local public awareness on waste management. In particular, CSRDG established and strengthened informal eco-clubs at public schools of the target communities, got them involved in solving local waste management problems together with adult population, which also participated in the development of the waste management community action plan.

Specific activities carried out by CSRDG were related to the following:

- I nvolvement of representatives of the target communities in developing and advocating community action plans on waste management;
- Raising civil activeness of the village adult and adolescent population and their awareness on waste management issues by in-class teaching and their involvement in cleaning events; holding school contests and public discussions;
- Preparation and publication of a textbook on community participation in waste management and its dissemination in the target communities;
- Making a 9 minute long documentary movie on important issues related to waste management in Kakheti region and the ways of solving them.

As a result of this activity, the community profile was developed, priority issues and measures for the population about waste management were identified, waste management community action plans were prepared and presented to the wider audience. It should be noted that such participatory process in the development of waste management is a powerful tool for community awareness raising and community mobilization, as well as for lobbying waste management issues in the local governments, and protection of public interests. Action plans presented by a community might become an integral part of the waste management municipal plan of the self-government and might turn into a good basis for engaging local population in waste management planning and administration processes.

სამიზნე სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციების გაძლიერება

თემის განვითარების პროგრამამ 2015 წელს ინტენსიურად იმუშავა 23 სათემო ორგანიზაციასთან, აქედან 6 წინა წლებში პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებული აქტიური სათემო ორგანიზაცია იყო, 3 ახალი კონკურსის (შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი) საფუძველზე იყო შერჩეული, მათ დაემატათ ცენტრის «ქალთა გაძლიერება ცვლილებისათვის» პროექტის ფარგლებში კახეთის და სამეგრელოს რეგიონებში 14 ახალად ჩამოყალიბებული ქალთა სათემო ჯგუფი. აღნიშნული სათემო ორგანიზაციების განვითარების პროგრამა გულისხმობდა მათ ორგანიზაციულ გაძლიერებას, კონსულტირებას, სამოქმედო გეგმების ერთობლივად შედგენას და მიკროპროექტების დაფინანსებას.

მიკროგრანტების პროგრამა

2015 წელს პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა ორი კონკურსი.

1. ღია კონკურსი საქართველოში მოქმედი სათემო ორგანიზაციებისთვის, რომელიც გულისხმობდა გარემოსდაცვით, გენდერული და სოციალური პრობლემების გადაჭრაზე მიმართული პროექტების დაფინანსებას. კონკურსის შედეგად დაფინანსდა 3 სათემო ორგანიზაციის პროექტი:

- ასოციაცია «ბეთლემი» პროექტით «ჯანსაღი გარემო – ჯანსაღი მომავალი»;
- სათემო ორგანიზაცია «მწვანე ველი» პროექტით «სავაჭრო დახლის მოწყობა»;
- სათემო ორგანიზაცია «იმედი» პროექტით «ფერმერთა ტექნიკური დახმარების სერვისცენტრი».

სამივე პროექტი განხორციელდა წარმატებით და მიღწეული იქნა დასახული მიზნები.

2. დახურული საგრანტო კონკურსი გამოცხადდა პროექტის «ქალთა გაძლიერება ცვლილებებისთვის» ფარგლებში კახეთის და სამეგრელოს რეგიონების 8 მუნიციპალიტეტის (სენაკი, აბაშა, მარტვილი, ხობი, ლაგოდეხი, თელავი, საგარეჯო, ყვარელი) 16 სათემო ორგანიზაციისთვის.

პროექტების საქმიანობის სფერო არ იყო შეზღუდული, თუმცა უპირატესობა ენიჭებოდა იმ პროექტებს, რომლებიც აკმაყოფილებდა შემდეგ მოთხოვნებს და ორიენტირებული იყო :

- ქალთა პრობლემების გადაჭრაზე;
- პროგრამის ფარგლებში გამოკვეთილი თემის პრობლემის მოგვარებაზე;

Strengthening the Target Community groups and organizations

In 2015, the Community Development Program was intensively working with 23 community organizations. Out of those, six were active community organizations created within the Program in the previous years, three (in Shida kartli, Samtskhe-Javakheti and Kakheti) were selected based on a new contest, and 14 were women's community groups from Kakheti that had been recently created within CSRDG's Empowering Women for Changes project. Development program of the mentioned community organizations implied to their organizational strengthening, consulting, jointly developing their action plans, and funding micro-projects.

Micro-grants Program

Two contests were held within the program in 2015:

1. An open contest for community organizations operating in Georgia - to fund projects related to solving environmental protection, gender and social problems. As a result, three community organizations got project funding:

- Association Betlemi, project: Healthy Environment - Healthy Future;
- Community organization Mtsvane Veli, project: "Setting up the Trade Shop";
- Community organizations Imedi, project: "Center for Farmers' Technical Services".

All three projects were implemented successfully and the planned objectives were met.

2. A closed call for grants was announced within the Empowering Women for Changes project for 16 community organizations in 8 municipalities of Kakheti and Samegrelo regions (Senaki, Abasha, Martvili, Khobi, Lagodekhi, Telavi, Sagarejo, and Kvareli).

The project activity area was not limited. However, priority was given to the projects that met the following requirements and were directed to:

- Solving women's problems;
- Solving community problems revealed in the Program;
- Solving those problems that affect a large portion of the community (villages of the community or neighboring villages);

- იმ პრობლემის მოგვარებაზე, რომელიც შეეხება თემის დიდ ნაწილს (თემში შემავალ სოფლებს ან მის მეზობელ სოფლებსაც);
- სამოქალაქო აქტივობაზე, გარემოს დაცვაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესზე, გენდერზე, ჯანდაცვაზე, სოფლის მეურნეობასა და სოციალურ საკითხებზე განათლების კომპონენტის შემცველ პროექტებზე;
- პროექტებზე, რომელთა განხორციელება გულისხმობდა ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილის ჩართვას;
- პროექტებზე, რომლებიც ხელს უწყობდა სხვა ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან (ადგილობრივი მთავრობა, სკოლები, ბაღები, ადგილობრივი ბიზნესი, სხვა ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სხვა) თანამშრომლობას.

კონკურსის შედეგად 13 პროექტი დაფინანსდა, კერძოდ:

თელავის მუნიციპალიტეტი

- კისისხევის თემი, პროექტი «ჰარმონიული ურთიერთობები»;
- ფშაველის თემი, პროექტი «ცხოვრება ძალადობის გარეშე»;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

- უდაბნოს თემი, პროექტი «ჯანსაღ სხეულში - ჯანსაღი სულია»;

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

- ვარდისუბნის თემი, პროექტი «ფანტაზია და მარჯვე ხელები»;
- ჰერეთისკარის თემი, პროექტი «ძლიერი თემი უკეთესი მომავლისათვის»;
- კართუბნის თემი, პროექტი «ლამაზი სოფელი ჯანსაღი ბავშვებით»;

ყვარლის მუნიციპალიტეტი

- ენისელის თემი, პროექტი «აქტიური მოსახლეობა გამჭვირვალე თვითმმართველობისთვის»;
- ახალსოფელის თემი, პროექტი «გარემოსდაცვითი პრობლემები და მათი გადაჭრა»;

ხობის მუნიციპაიტეტი

- თორსა-დღვაბის თემი, პროექტი «ცოდნა სინათლეა»;

აბაშის მუნიციპალიტეტი

- სამიქაოს თემი, პროექტი «ახალგაზრდული კლუბი»

სენაკის მუნიციპალიტეტი

- ნოქალაქევის თემი, ორი პროექტი: «იცოცხლე სიცოცხლისათვის» და «ჩართულობის სახლი»;

მარტვილის მუნიციპალიტეტი

- ბანძის თემი, პროექტი «დაცული გარემო – ჯანსაღი მომავალი».

(დაწვრილებით ორივე კონკურსის გამარჯვებული პროექტების რეზიუმე და ფოტომასალა იხილეთ დანართში №3)

რვავე მუნიციპალიტეტში 13 პროექტი წარმატებით განხორციელდა.

- Projects containing components on civil activeness, environment protection, healthy lifestyle, gender, healthcare, agriculture, and education on social issues;
- Projects that involve a large portion of local residents in their implementation;
- Projects promoting cooperation with other organizations and institutions (local government, schools, kindergartens, local business, other local civil society organizations, etc.).

As a result, the following 13 projects were funded:

Telavi municipality

- Kisiskhevi community, project: Harmonious Relationships;
- Pshaveli community, project Life Without Violence.

Sagarejo municipality

- Udabno community, project: Healthy Soul in Healthy Body

Lagodekhi municipality

- Vardosubani community, project: Fantasy and Skillful Hands;
- Heretiskari community, project: Strong Community for a Better Future;
- Kartubani community, project: Beautiful Village with Healthy Children;

Kvareli municipality

- Eniseli community, project: Active Population for the Transparent Self-Governance;
- Akhalsofeli community, project: Environmental Problems and Solving Them;

Khobi municipality

- Torsa-Dghvabi community, project: Knowledge is Light;

Abasha Municipality

- Samikao community, project: Youth Club;

Senaki municipality

- Nokalakevi community, projects: Live for Life, and "House of participation";

Martvili municipality

- Bandza community, project: Protected Environment - Healthy Future.

(For more details on the project summaries and photo materials for the winner projects in both contests, see Annex №3)

All 13 projects in the mentioned eight municipalities were completed successfully.

დიაგრამა 1.

დახურულ კონკურსში გამარჯვებული სათემო ცენტრების პროექტების დაფინანსების წყაროების რანჟირება

Chart 1.

Ranking of the project funding sources for the winner community centers under the closed contest



- ფონდი / Foundation
- თემი / Community
- ადგილობრივი თვითმართველობა / Self-Government
- სხვა / Other Sources

გაეროს განვითარების პროგრამა/სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი – 147 861 ლარი/67%

თემი – 27 123 ლარი/12%

ადგილობრივი თვითმმართველობა – 29 247 ლარი/13%

სხვა – 17 566 ლარი/8%

UN Development Program / Center for Strategic Research and Development – 147 861 GEL/67%

Community – 27 123 GEL/12%

Self-governance – 29 247 GEL/13%

Other – 17 566 GEL/8%

სათემო ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების პროგრამების კონკურსი

შეგახსენებთ, რომ 2014 წლის ბოლოს პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა კონკურსი სათემო ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების პროგრამებზე და მასში მონაწილეობის მიღება შეეძლო საქართველოში მოქმედ ნებისმიერ სათემო ორგანიზაციას. კონკურსის შედეგად შემოვიდა 24 საპროექტო განაცხადი, რომელთა შორის გამოვლინდა ორი გამარჯვებული:

- ასოციაცია «ბეთლემი» (გორის რაიონი, სოფელი სკრა);
- ორგანიზაცია «სამოქალაქო ინიციატივა» (სიღნაღი, სოფელი წნორი).

2015 წელს გამარჯვებული სათემო ორგანიზაციებთან ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები, შედეგად ორივემ შეიმუშავა ორგანიზაციულ განვითარებაზე მიმართული ექვსთვიანი (2015 წლის მეორე ნახევარი) სამოქმედო გეგმა, რომელთა განხორციელებაზე საჭირო

Contest on institutional development programs of the community organizations

We would like to remind you that in the end of 2014, a contest for community organizations institutional development was announced within the Program. Any community organization operating in Georgia was eligible to participate. 24 project proposals were received and two winners were identified:

- Association Betlemi (Gori district, village Skra);
- Organization - Civil Initiative (Sighnaghi, village Tsnori).

In 2015, workshops and consultations were held for the winner community organizations. As a result, both winners elaborated six months (second half of 2015) action plans aimed at organizational development. Funds for the implementation of the action plans were provided

თანხები დააფინანსა «საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა». 2015 წლის ბოლოს «ცენტრის» ექსპერტების დახმარებით ორივე ორგანიზაციამ შეადგინა სამწლიანი სტრატეგიული გეგმა და 2016 წლის დეტალიზებული სამოქმედო გეგმა, რომლებიც განსახილველად «ცენტრს» წარედგინაუდგინეს.

ძველი სამიზნე სათემო ორგანიზაციის გაძლიერება

«ცენტრი»-მა კვლავ განაგრძო ინტენსიური მუშაობა 2011-2013 წლებში პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებულ და განვითარების კარგი პოტენციალის მქონე სამიზნე სათემო ორგანიზაციებთან, რაც გულისხმობდა მიმდინარე მცირე ფინანსური ხარჯების დაფარვასა და ტექნიკურ მხარდაჭერას (კონსულტაციები და ტრენინგები).

ცენტრის მცირე ფინანსური მხარდაჭერა მიმართული იყო 6 ძველი სათემო ორგანიზაციის მომსახურების შენარჩუნებაზე. იგულისხმება ადგილობრივი მოსახლე-ობისთვის ისეთი სერვისის გაწევა როგორიცაა: სახელობო/პროფესიული კურსები, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, კომპიუტერული/ინტერნეტ მომსახურება და პრობლემების გადაჭრაზე მიმართული ინტერესთა დაცვა.

წლის დასაწყისში სათემო ცენტრებისთვის პროგრამის ექსპერტების მიერ ჩატარებული სამუშაო შეხვედრებისა და კონსულტაციების შედეგად მომზადდა მათი საქმიანობის ერთწლიანი სამოქმედო პროგრამები (2015-2016 წწ.), რომლებშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მოსახლეობის ინტერესების დაცვის და ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის საკითხებს. იგულისხმება ადგილობრივი პრობლემების იდენტიფიცირება, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მათი წარმოჩენა, მათ გადაჭრაზე საჭირო თანხების ადგი-ლობრივ ბიუჯეტში გათვალისწინების ხელშეწყობა და სათემო ორგანიზაციების მხრიდან პრობლემების მოგ-ვარებაზე მიმართული შესაბამისი ქმედებების მონი-ტორინგის წარმართვა. აღნიშნული პროგრამები ცენტრმა დააფინანსა.

გარდა ამისა ცენტრმა განაგრძო მუშაობა «ქალთა გაძლიერება ცვლილებისათვის» პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებულ 14 ქალთა სათემო ჯგუფთან. ცენტრის ექსპერტების დახმარებით მათ დაწერეს მოკლევადიანი (4-6 თვე) სამოქმედო გეგმები. ასევე ამ გეგმების განხორციელებისთვის ცენტრი ტექნიკურ მხარდაჭერას უწევდა მათ, კერძოდ უზრუნველყოფდა ექსპერტების მოწვევას და ადგილზე ჩაყვანას, სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებისთვის საჭირო მასალებით მომარაგებას, გასცემდა კონსულტაციებს და სხვა.

by the Center for Strategic Research and Development of Georgia. In the end of 2015, CSRDG experts assisted both community organizations to develop three year strategic plans and detailed 2016 action plans. The mentioned documents were submitted for SCRDG review.

Strengthening old target community organizations

CSRDG continued intensive work with community organizations established within the 2011-2013 programs and having a good development potential. Our involvement implied to covering small ongoing financial expenses and provision of technical support (consultations and trainings).

CSRDG's small financial support was directed to 6 previously established community organizations to keep their services to local residents, such as: vocational courses; organization of sports and culture events; computer/Internet services; and interests protection activities directed to problem solving.

As a result of workshops and consultations delivered by Program experts for community organizations in the beginning of the year, one year (2015-2016) actions programs of their activities were developed, putting a special emphasis on issues like protection of interests of local residents and cooperation with local authorities. This implies to identifying local problems, presenting them to local authorities, promotion of considering necessary funds in the local budget for solving the problems, and monitoring by the community organizations of respective actions to resolve the problems. The mentioned programs were funded by CSRDG.

Besides, CSRDG continues work within 14 women community groups created under the Empowering Women for Changes program. Our experts assisted them in writing short term (4-6 months) action plans. CSRDG also provided technical assistance to implement the mentioned action plans. In particular, she helped and ensured to invite experts and take them to the sites, provided with necessary materials to organize various events, helped with consultations, etc.

190 სხვადასხვა ინიციატივა და ღონისძიება (რომლებშიც ჩართული იყო 4392 მონაწილე) ჩატარდა 14 ქალთა სათემო ჯგუფის გეგმების განხორციელების შედეგად.

190 various initiatives and events (involving 4392 participants) were held as a result of implementing plans of women's 14 community groups.

კონსულტაციები, სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები

ორგანიზაციული განვითარების საკითხებზე ჩატარდა 29 კონსულტაცია და სამუშაო შეხვედრა ოცდასამივე სამიზნე სათემო ჯგუფისა და ორგანიზაციისთვის. კერძოდ, შეხვედრების თემები გახლდათ:

- განხორციელებული პროგრამების შეფასება;
- ერთწლიანი პროგრამების შედგენა და განხორციელება, მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების შედგენა;
- პროგრამების ბიუჯეტის შესაბამისი დოკუმენტაციის დახარისხება;
- მუნიციპალიტეტების სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურებისთვის ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შედგენა და წარდგენა;
- საზოგადოებრივი საბჭოების საკითხები;
- საკოორდინაციო შეხვედრებისთვის პრეზენტაციების მომზადება;
- ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაზე მიმართული საგრანტო კონკურსებისთვის საპროექტო განაცხადების მომზადება და ა.შ.

Consultations, workshops, trainings

29 consultations and workshops were delivered on organizational development issues for all 23 community groups and organizations. The meetings addressed the following topics:

- Evaluation of the implemented programs;
- Development and implementation of one year programs, development of short-term action plans;
- Filing and organizing the program budget documentations;
- Development and presentation of one year action plans for sports and youth affairs services at the municipalities;
- Public council related issues;
- Preparation of presentations for coordination meetings;
- Preparation of project proposals for tenders to get grants on solving local problems, etc.

სათემო ცენტრების საქმიანობის შეფასება

პროგრამის შიდა შეფასებამ სათემო ცენტრების საქმიანობის მაღალეფექტიანობა და სტაბილური განვითარების მზარდი ტენდენცია აჩვენა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტები, რომ:

სათემო ცენტრებმა დამოუკიდებლად, პროგრამის დახმარების გარეშე, განახორციელეს 21 ინიციატივა. ამაში იგულისხმება სხვა ფონდებიდან და მუნიციპალიტეტებიდან პრობლემების გადასაჭრელად მოპოვებული დაფინანსება.

სათემო ცენტრები ყოველწლიურად ათეულობით ადგილობრივ პრობლემას აგვარებენ მათი მუნიციპალიტეტებთან პროაქტიური თანამშრომლობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის გზით.

პროგრამის ფარგლებში დაფუძნებულმა და გაძლიერებულმა სათემო ცენტრებმა 2014 - 2015 საბიუჯეტო წლის პერიოდში თვითმმართველობებს წარუდგინეს 304 ადგილობრივი პრობლემა, აქედან მოგვარდა 121 სხვადასხვა სახის პრობლემა.

Evaluation of Community Centers Activities

The Program's internal evaluation showed high effectiveness of the activities of community centers and an increasing trend of development. The following fact indicates to this:

21 initiatives were implemented by the community centers on their own, without assistance form the Program. These are the funds raised from the municipalities and other sources for problem solving purposes.

Each year, community centers solve tens of problems through their pro-active cooperation with the municipalities and involvement in decision making processes.

During 2014-2015 budget period, Community centers that had been established and strengthened within the Program, presented 304 local problems to the local governments. Out of those, 121 problems of various nature were resolved.

თანამშრომლობა თემის განვითარებაზე მომუშავე ადგილობრივსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

საერთაშორისო კონფერენცია «რატომ სათემო განვითარება? უწყვეტობა და ინოვაცია», რომელიც ჩატარდა ედინბურგში და მიეძღვნა საერთაშორისო ჟურნალის – «თემის განვითარების ჟურნალი» (“Community Development Journal”) – ორმოცდაათი წლისთავს. სხვადასხვა ქვეყანაში თემის განვითარების საკითხზე მომუშავე 80-ზე მეტი მკვლევარი ესწრებოდა კონფერენციას. «საქართველოს სტრეტეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი» ასევე დაპატიჟებული იყო საზეიმო ღონისძიებაზე, რადგანაც არის ჟურნალის საერთაშორისო სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ქალის როლზე სათემო განვითარებაში პრეზენტაციისას წარმოადგინეს ფილმი «გზის გადაღმა სოფელში», რომელიც შეიქმნა ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივით (ფილმი იხილეთ ბმულზე http://www.youtube.com/watch?v=4I6V_EBHd44). პრეზენტაციამ დამსწრე აუდიტორიის დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა;

Cooperation with Local and International Organizations Working on Community Development Issues

An international conference “Why Community Development? Continuity and Innovation” - held in Edinburgh and dedicated to the 50 year anniversary of an international - Community Development Journal. The conference was attended by more than 80 researchers working on community development issues in various countries. The Center for Strategic Research and Development of Georgia – a member of the Journal’s international supervisory board – was also invited to the conference. Our representatives gave a presentation on the role of women in community development and showed a movie In the Village Across the Road made by the initiative of our Center (http://www.youtube.com/watch?v=4I6V_EBHd44). The audience expressed high interest and content about the presentation.

«საქართველოს სტრეტეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი»-ს მიერ წარდგენილი ფილმი «გზის გადაღმა სოფელში» დამატებულია ერთ-ერთი ბრიტანული უნივერსიტეტის კურიკულუმში, როგორც სათემო მუშაობის დადებითი შედეგების ილუსტრაცია.

The movie - In the Village Across the Road - presented by CSRDG, has been added to the curriculum of one of UK’s universities to illustrate positive outcomes of community work.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

პროგრამის მიზანია საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერება, რომ მათ უფრო ეფექტიანად მოაგვარონ თავიანთი სამიზნე ჯგუფების სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, სოციალურ საწარმოებში მათი დასაქმება/ინეგრაციის და სექტორებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით.

დასახული მიზნის მისაღწევად პროგრამის მიერ **შემუშავებული სტრატეგია** არის:

- სოციალური მეწარმეებისთვის და თემით დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის მათზე მორგებული ტექნიკური დახმარების სერვისების (ტრენინგები, სემინარები, საკონსულტაციო მომსახურება) შეთავაზება;

SUB-PROGRAM – THE DEVELOPMENT OF CIVIL SOCIETY ORGANIZATIONS

The program goal is strengthening of civil society organizations to make them more effective in solving social and economic challenges of their target groups, by means of getting them employed at social enterprises and promoting inter-sectoral cooperation.

To accomplish the goal, the program has adopted the following strategy:

- Offer needs-tailored technical assistance services (trainings, seminars, consulting services) to social entrepreneurs and stakeholders interested in the issues;

- სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა საკანონმდებლო ინიციატივის მომზადებით და ინიცირებით, აგრეთვე ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდით;

- სოციალურ საწარმოებსა და სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა და გამოცდილების გაზიარების მექანიზმების შემუშავება, ინფორმაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში 2015 წელს გაცემული მიკროგრანტები, ჩატარებული ტრენინგები და კონსულტაციები მიზნად ისახავდა სოციალური მეწარმეობით დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციულ გაძლიერებას და მიმართული იყო ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობისა და მართვის პროცესების გაუმჯობესებისაკენ, ხოლო მათი ინფორმაციული მხარდაჭერა ხორციელდებოდა ვებპორტალის, ელექტრონული საინფორმაციო დაგზავნებისა და სოციალური ქსელის საშუალებით.

სოციალური მეწარმეობის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებისთვის, პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებული, «სოციალური მეწარმეობის ცენტრი» სერვისების მიმწოდებელი ერთ-ერთი ძირითადი რესურსი გახდა.

ტრენინგები სოციალური მეწარმეობის საკითხზე:

ტრენინგები და სემინარები მორგებულია სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებსა და საჭიროებებზე და განკუთვნილია სოციალურ მეწარმეებისთვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, სტუდენტებისთვის, ჟურნალისტებისა და თვითმმართველობების წარმომადგენლებისთვის.

2015 წელს სოციალური მეწარმეობის საკითხზე თბილისსა და რეგიონებში ჩატარებულ 15 სემინარს და ტრენინგს დაესწრო 304 მონაწილე.

კონსულტაციები სოციალური მეწარმეობის საკითხზე

წლის განმავლობაში ცენტრის ექსპერტები კონსულტირებას უწევდნენ, როგორც ზოგადად სოციალური მეწარმეობის საკითხით დაინტერესებულ ორგანიზაციებს (ზოგადი კონსულტაციები), ასევე იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ სურვილი წამოიწყონ ეკონომიკური საქმიანობა, ან უკვე ეწევიან მას (ინდივიდუალური კონსულტაციები).

2015 წელს ზოგადი კონსულტაციები გაეწია 9 ორგანიზაციას. კონსულტაციები ეხებოდა სოციალური მეწარმეობის დაფუძნების, საგრანტო განაცხადების, კომერციული და არაკომერციული საქმიანობის გამიჯვნა, საგადასახადო და იურიდიულ საკითხებს.

ინდივიდუალური კონსულტაციები გაიარეს სოციალური მეწარმეობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულმა

- Create a favorable environment for the development of social enterprising by preparing and making legislative initiatives, as well as by increasing access to financial resources;

- Promote cooperation between social enterprises and representatives of various sectors, develop mechanisms for experience sharing, provide information support.

Promotion of the development of social enterprising

The micro-grants, trainings and consultations provided within the program in 2015 were aimed at organizational strengthening of civil society organizations interested in social enterprising, and directed at improving their financial sustainability and management processes. Information support was carried out by means of the web-portal. Electronic newsletters and the social media were used for dissemination of information.

The Social Enterprising Center created within the program for the organizations engaged in social enterprising has turned into one of the major service provider resources.

Trainings on social enterprising issues

Trainings and seminars are tailored to the interests and needs of various groups and are designed for social entrepreneurs, civil society organizations, international organizations, students, journalists and representatives of the self-governance.

In 2015, 304 people attended 15 seminars and trainings on social enterprising held in Tbilisi and regions.

Consultations on social enterprising issues

Throughout the year, CSRDG experts were providing consultations to the organizations interested in social enterprising (general consultations), as well as to those that are willing to start economic activity, or have already started it (individual consultations).

In 2015, general consultations were provided to nine organizations, addressing issues such as: founding a social enterprise, grants applications, division of commercial and non-commercial activities, tax and legal issues.

Individual consultations were provided to organizations and enterprises that had applied to CSRDG's open contest on requesting consultancy assistance and had been funded within the social enterprising program. Individual consulting services were also provided to enterprises funded by international organizations that work on social enterprising issues. Overall, 13 organizations got individual consultations in 2015.

ორგანიზაციებმა და საწარმოებმა, რომლებმაც ღია კონკურსების ფორმატში მოგვმართეს საკონსულტაციო დახმარების თხოვნით. ასევე ინდივიდუალური კონსულტაციების სერვისით ისარგებლეს სოციალური მეწარმეობის სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფუძნებულმა საწარმოებმა. სულ 2015 წლის განმავლობაში 13-მა ორგანიზაციამ მიიღო ინდივიდუალური კონსულტაცია.

ინდივიდუალური საკონსულტაციო საქმიანობის მაგალითები:

- **ასოციაცია «ბილიკი»,** ორგანიზაციის მისიაა დაეხმაროს ყველა ბავშვს, მიუხედავად რელიგიური, ეთნიკური წარმომავლობის, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა, რათა სრულად იქნეს რეალიზებული თითოეული ბავშვის პოტენციალი. ორგანიზაციის ბენეფიციარები მეტწილად არიან სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთა წევრების უმეტესობა დაუსაქმებელია. ასოციაციას სურდა ისეთი სოციალური საწარმოს დაფუძნება, რომელიც სხვადასხვა ტიპის მომსახურებას შესთავაზებს მომხმარებელს, მაგალითად: სახლების დალაგება, ბავშვების და მოხუცების მოვლა, ოფისების დალაგება და ა.შ. სოციალურ საწარმოში დასაქმდებიან ორგანიზაციის ბენეფიციარების ოჯახის წევრები.

კონსულტაციის შედეგად შეიქმნა სოციალური საწარმოს ბიზნესგეგმა, ნათლად გაწერილი მომსახურებით და ფასებით. საწარმომ პირველი ნაბიჯები გადადგა გეგმის განსახორციელებლად, კერძოდ 4 ბენეფიციარი დაასაქმა დალაგების სერვისის რამდენიმე შეკვეთის შესასრულებლად.

- **საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეგისტრირებული კავშირი,** რომლის მისია არის ადამიანის უფლებების დაცვა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფით შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა. ორგანიზაციას უნდოდა სოციალური კაფეს გახსნა, რომელშიც დასაქმდებიან შშმ პირები.

კონსულტაციის შედეგად შეიქმნა საცხობის ბიზნესგეგმა, რომელიც ორგანიზაციამ დასაფინანსებლად შეიტანა კონკურსში «აწარმოე საქართველოში» და მიიღო გრანტი. მას ასევე ფინანსური დახმარება გაუწია ადგილობრივმა თვითმმართველობამ, რაც საკმარისი იყო საცხობის ამუშავებისთვის. საცხობში დასაქმებულია 3 შშმ პირი.

- **სოციალური საწარმო «არტკოდა»,** რომელიც 2013 წელს დააფუძნა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ «კოდის სათემო საგანმანათლებლო ცენტრმა». სოციალური საწარმო საქმიანობს იძულებით გადაადგილებული პირებით კომპაქტურად დასახლებულ სოფელ კოდაში, უტარებს სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებულ პირებს პროფესიული განათლების ტრენინგებს და შემდგომ ასაქმებს სოციალურ საწარმოში. ამჟამად საწარმოში დასაქმებულია 15 იძულებით გადაადგილებული პირი, საწარმო მომხმარებელს სთავაზობს პოლიგრაფიულ მომსახურებას და ხალხური რეწვის სხვადასხვა ტიპის პროდუქციას.

Examples of individual consultancies:

- **Association Biliki** – The organization mission is supporting all children, regardless of their religious or ethnic background, or social and economic conditions, to let each child's potential be realized to the maximum. Beneficiaries of the organization come mostly from socially disadvantaged households with majority of household members being unemployed. The association wanted to found a social enterprise that would offer its customers various types of services, such as, for example: house cleaning, taking care of children and elderly, office cleaning, etc. Members of the organization's beneficiary households will be hired in the social enterprise.

After the consultations, the social enterprise business plan was written, clearly detailing the services and the price-list. The enterprise has already made the first steps to accomplish the plan - has hired four beneficiaries for several requests on cleaning services.

- **"Union of People with Disabilities in Sachkhere"**– its mission is protection of human rights, civil society development, and assistance to social integration of people with limited abilities by ensuring equal opportunities. The organization wanted to open a social cafe where people with limited abilities would be hired.

After the consultations, a business plan for a social bakery was prepared and submitted for funding to the Produce in Georgia program. The project got funded, and also received financial assistance from the local self-government. The generated funds were enough to put the bakery to work, hiring three persons with limited abilities.

კონსულტაციის შედეგად მოხდა პროდუქციის ასორტიმენტის და ფასების კორექტირება. პროდუქტის განვითარების სტრატეგიაში შეტანილმა ცვლილებებმა საწარმოს მოუტანა გაყიდვების 103%-იანი ზრდა.

- **«ჩვენი სახლი საქართველო»,** რომლის მისია არის მზრუნველობამოკლებული ბავშვების, მოზარდების, ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია საზოგადოებაში ჯანსაღი ინტეგრაციისთვის. ორგანიზაციის მიერ სოციალური საწარმოს დაფუძნების მთავარი მოტივი გახლდათ ის, რომ მათ ბენეფიციარებს სრულწლოვანების ასაკის მიღწევისას დასაქმებისთვის არ გააჩნიათ საკმარისი უნარები და გამოცდილება.

კონსულტაციის შედეგად შეიქმნა ავტომანქანების სამრეცხაოს ბიზნესგეგმა. სოციალური საწარმოს ამოქმედების შემდგომ ავტოსამრეცხაოში დასაქმდებიან ორგანიზაციის ბენეფიციარები.

- **«მარნეულის დემოკრატ ქალთა საზოგადოება»**, რომლის მისია გახლავთ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით ქალთა, ბავშვთა, სპეციალური საჭიროების მქონე პირთა და საზოგადოების ნებისმიერი წევრის უფლებების და ინტერესების დაცვა მარნეულში და ქვემო ქართლის რეგიონში. ორგანიზაციამ დააფუძნა «სკოლამდელი გადამზადების ცენტრი», რომლის ფუნქციაში შედის ეროვნული უმცირესობების ოჯახებიდან ბავშვების სკოლისთვის მომზადება, რომ მათ შეძლონ ქართულ სკოლაში სწავლა. ასევე მშობლების მხარდაჭერა მათი შვილების განათლების სწორი არჩევანის მიმართულებით.

კონსულტაციის შედეგად შეიქმნა სოციალური საწარმოს ბიზნესგეგმა, დაზუსტდა მომსახურების ფასები და დაიწერა თანხების მოძიების სტრატეგია. 2015 წელს ცენტრის მომსახურებით ისარგებლა 15-მა ბავშვმა.

- **სოციალური საწარმო «სოციალური ტაქსი»** 2015 წელს დააფუძნა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ «ქალი, ბავშვი და სოციუმი». საწარმომ შეიძინა ორი ადაპტირებული ავტომანქანა და ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობის პირებს.

კონსულტაციის შედეგად ჩამოყალიბდა სწორი ფასწარმოქმნის პოლიტიკა და გაიცა რეკომენდაციები საგადასახადო საკითხებზე, ასევე დაზუსტდა ის მინიმალური მოგება, რომელიც საწარმოს მიმდინარე ხარჯების დაფარვის საშუალებს მისცემს.

- **ხანში შესული ადამიანების თავშესაფარი «სახლი საზღვრების გარეშე»,** სოფელ ხურვალეთში მოქმედი სოციალური საწარმო, რომელიც ემსახურება 10-მდე სოციალურად დაუცველ ხანში შესულ ადამიანს.

კონსულტაციის შედეგად საინიციატივო ჯგუფმა დაწერა საგრანტო განაცხადი და ბიზნესგეგმა, სადაც ნათლად ჩანდა საწარმოს სოციალური მიზნები, დაკონკრეტებული იყო სამიზნე ჯგუფები და მომსახურების სტანდარტები, ასევე ბენეფიციარების შერჩევის კრიტერიუმები და

- **Social enterprise “Art-Koda”** - was founded in 2013 by a civil society organization “Koda Community Educational Center.” The social enterprise operates in the village of Koda that has a compact IDP settlement. It holds professional development trainings to IDPs from Samachablo, further hiring them in the social enterprise. At present, the social enterprise gives jobs to 15 IDPs and offers its customers polygraph services and various types of art-craft products.

As a result of the consultations, the products assortment and prices were corrected. The changes made in the sales strategy resulted in a 103 percent increase of the sales.

- **Our Home Georgia** - the organization mission is psycho-social rehabilitation of children and adolescents with the lack of care, as well as the youth and other vulnerable groups, for their healthy integration into the society. The lack of beneficiaries’ working skills and experience upon turning of full age, limiting their employment chances, has served as the main motive for the organization to establish this social enterprise.

As a result of the consultation, a business plan for car wash was developed. After starting the operations, this social enterprise will give jobs to its beneficiaries.

- **Society of Democratic Women of Marneuli** - its mission, in cooperation with the self-government, is protection of the rights and interests of women, children, socially disadvantaged people and every member of the society in Marneuli and throughout Kvemo Kartli region. The Association founded a Pre-school Retraining Center, aimed at preparing children from ethnic minorities for the school, in order to enable them study at Georgian schools. Another objective was to support the parents in making right choices for their children’s education.

After the consultations, a social enterprise business plan was developed, service prices were finalized and a funds raising strategy was written. In 2015, the Center provided services to 15 children.

- **Social Enterprise “Social Taxi”** - was founded in 2015 by a civil society organization “Women, Child and Society”. The enterprise has purchased two accessible cars and provides services to people with limited abilities.

After the consultation, a correct pricing policy was developed and recommendations were given on respective taxation issues. The minimum profit margin was defined that will allow the enterprise to cover the ongoing expenses.

- **Shelter for the Elderly “Home Without Borders”** - a social enterprise in the village of Khurvaleti, providing services to about 10 socially unprotected elderly.

პროცედურები. გარდა ამისა, განისაზღვრა საწარმოსთვის საჭირო ადამიანური რესურსები, საწყისი კაპიტალი, მატერიალური და ტექნიკური რესურსები.

- **სოციალური საწარმო «მულტიკულტურული კაფე 8+1»** დააფუძნა «ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა». სოციალური საწარმო მიზნად ისახავს: გააცნოს ახალგაზრდებს სხვადასხვა კულტურა და ტრადიციები, გააღმავოს მათი ცოდნა სხვადასხვა საკითხზე, 18-დან 25-წლამდე სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისთვის შექმნას დასაქმების შესაძლებლობები, ქ. ოზურგეთის ცენტრში მოაწყოს «ლიტერატურული კაფე», სადაც ადამიანებს შეეძლებათ მშვიდ, სასიამოვნო და თბილ გარემოში გაატარონ დრო. კაფეში დასაქმებულია 4 ადამიანი, რომელთაგან ორი ორგანიზაციის სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელია.

კონსულტაციის შედეგად დაანგარიშებული იყო კაფეს პროდუქტების ფასები და ის მინიმალური მოგება, რომელითაც კაფე ყოველთვიურ ხარჯებს დაფარავს.

- **საზოგადოებრივი ორგანიზაცია «მზიანის»** იდეა არის საბავშვო პარკ «მზიურში» მიტოვებული კაფეს და ამფითეატრის აღდგენა. იდეა გულისხმობს სოციალური კაფეს და ამფითეატრის ამოქმედებას, სადაც სხვადასხვა ორგანიზაციებს ექნებათ შესაძლებლობა ჩაატარონ კულტურული და საგანმანათლებლო ინკლუზიური ღონისძიებები.

საკონსულტაციო პერიოდში საინიციატივო ჯგუფმა მოახდინა ფონდების მოძიების სტრატეგიების იდენტიფიცირება და დაწერა ბიზნესგეგმა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციებისა საკონ-სულტაციო მომსახურება გაეწია 2014 - 2015 წლების საგრანტო კონკურსების ფარგლებში შერჩეულ 5 ორგანიზაციას და საწარმოს, კერძოდ ესენია:

- სოციალური საწარმო «ბაბალე»;
- სობისის ახალგაზრდული კოოპერატივი
- საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია;
- ქალთა კავშირი «რეა»-ს ასპინძის საინტეგრაციო ცენტრის ბაზაზე მოქმედი ჩირის და შოკოლადის წარმოების სოციალური საწარმო;
- პანკისის ხეობაში საზოგადოებრივი ორგანიზაცია «ჯოკოლო XXI»-ის მატყლის მწარმოებელი და საჩეჩი სოციალური საწარმო.

ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების საქმიანობაზე დაწვრილებით ვისაუბრებთ წინამდებარე პროგრამის მიკროგრანტების ნაწილში.

After the consultation, the initiative group wrote a grant application and a business plan, clearly showing social goals of the enterprise, specifying the target groups and service standards, as well as the criteria and procedures for the selection of the beneficiaries. Besides, human resources, a startup capital, material and technical resources needed for the enterprise were determined.

- Social enterprise "Multi-Cultural Cafe 8+1" - was founded by the "Young Teachers' Union". The aim of the social enterprise is to: get the youth familiar with various cultures and traditions, deepen their knowledge on various topics, create employment opportunities for socially disadvantaged youth aged 18-25, open a Literature Cafe in the center of Ozurgeti, where customers will be able to pass the time in a quiet, pleasant and warm environment. The cafe has four workers, two out of which are representatives of the organization's target group.

After the consultation, the price-list was made for the cafe and the minimum profit margin was determined that will allow to cover the monthly expenses.

- society organization Mziani - the idea is to restore an abandoned cafe and the amphitheater in Mziuri children's park. This will allow organizations to hold cultural and educational inclusive events.

During the consultancy period, the initiative group identified the funds searching strategies and wrote a business plan.

Beside the above listed organizations, consultancy services were provided to five organizations and enterprises selected in the grants contests during 2014-2015:

- Social enterprise Babale»;
- Sobisi youth cooperative
- Georgian Association for Mental Health;
- Dry fruit and chocolate producing social enterprise created on the basis of Aspindza integration Center of Women's Union "Rhea";
- Goat wool processing and carding social enterprise on the basis of Jokolo XXI civil society organization from Pankisi gorge.

Activities of the above listed organizations will be discussed in more details in the micro-grants part of the present program. (pp. ???)

საინფორმაციო-ანალიტიკური ვებპორტალი

დღეისათვის საქართველოში სოციალური მეწარმეობის საკითხზე ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი საინ-ფორმაციო ვებრესურსი არის პორტალი www.segeorgia.org, რომელზეც განთავსებულია ამომწურავი ინფორმაცია ქართულ სოციალურ საწარმოებზე, მათ პროდუქციასა და სერვისებზე, სფეროში მიმდინარე სიახლეებზე. ვებპორტალი მომხმარებელთა დიდი ინტერესით სარგებლობს ამაზე მეტყველებს პორტალის უნიკალური მომხმარებლების გაორმაგების ფაქტი.

ასევე, საგრძნობლად იმატა ფეისბუკზე შექმნილი სო-ციალური მეწარმეობის – გვერდის მომხმარებელთა რიცხვმა. ვებპორტალის მსგავსად, აქ განთავსებულია ინფორმაცია ამ მიმართულებით განხორციელებულ ინიციატივებსა და მიმდინარე სიახლეებზე. 2015 წლის განმავლობაში გვერდის ვიზიტორთა მოწონებების რიცხვი გაორმაგდა.

საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების ქსელური საქმიანობის ხელშეწყობა

სოციალურ საწარმოთა ყოველწლიური შეხვედრის იდეა 2012 წელს გამართული ღონისძიების შემდეგ ჩამოყალიბდა, როდესაც მეწარმეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ამ შეხვედრებს რეგულარული ხასიათი მიეღო. მას მერე შეხვედრები ყოველწლიურად ტარდება. საკითხით დაინტერესებული მონაწილეებისა და მხარდამჭერების ზრდამ, ასევე სადისკუსიო თემებისა და საკითხების მრავალფეროვანმა სპექტრმა ლოგიკურად მიგვიყვანა 2015 წელს არა შეხვედრის, არამედ ფორუმის ჩატარებამდე.

2015 წლის ბოლოს, ტრადიციულად თბილისის მე-რიასთან და „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდთან“ თანამშრომლობით „ცენტრმა“ გამართა ქართული **სო-ციალური საწარმოების ფორუმი.** შეხვედრაში მო-ნაწილეობდა 130-მდე სოციალური საწარმოს ლი-დერი, სოციალური მეწარმეობის განვითარებით დაინ-ტერესებული/ხელშემწყობი ორგანიზაციების, ბიზნესკომ-პანიების და თბილისის მერიის წარმომადგენლი.

წინა წლების შეხვედრებისგან განსხვავებით წლევანდელი ფორუმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სო-ციალურ საწარმოების მომსახურებას და პროდუქციას. ფორუმზე მოეწყო სპეციალური საგამოფენო სივრცე, სადაც 30-მდე სოციალურმა საწარმომ წარმოადგინა სა-კუთარი პროდუქცია და სერვისები.

ფორუმის მონაწილეებმა შეაჯამეს წინა წლის შედეგები და მცირე ჯგუფებში გამართეს დისკუსიები შემდეგ საკითხებზე:

- სოციალური საწარმოების შემდგომი განვითარება: ინსტრუმენტები და გამოწვევები;

Information Analytical Web-Portal

Currently, one of the most complete information resources on the social enterprises operating in Georgia is a web-portal www.segeorgia.org, containing exhaustive information on Georgian social enterprises, their products and services, and the news in the field. The web-portal enjoys a high interest of its customers. The fact that the number of the portal's unique users have doubled proves to this.

Besides, the number of users of a Facebook page on social enterprising has increased considerably. Like the web-portal, the Facebook page provides information on the initiatives undertaken in this field, as well as the ongoing news. During 2015, the number of the visitors that liked the page increased twice.

Promoting Network Activity of Georgian Social Enterprises

The idea to hold annual meetings of social enterprises was born after the event held in 2012, when the entrepreneurs expressed their desire to turn the meeting into a regular event. Since then, the meetings have been conducted annually. The increase of the stakeholders and supporters, as well as a wide range of discussion topics and issues, logically led to the idea of hold a forum, and not a regular meeting, in 2015.

In the end of 2015, CSRDG held a **Forum of Georgian Social Enterprises.** Traditionally, the event was organized in cooperation with Tbilisi City Hall and the Eurasia Partnership Foundation. The forum was attended by up to 130 participants – leaders of social enterprises, representatives of organizations interested in/promoting the development of social enterprising, business companies, and Tbilisi City Hall.

Unlike the meetings in the previous years, a special attention was drawn to the issue of services and products of social enterprises. A special exhibition area was given to up to 30 social enterprises to present their products and services.

The forum participants summarized the results of the previous year and held discussions in small groups on the following issues:

Further development of social enterprises: tools and challenges;

- Employment-oriented social enterprises: existing problems and challenges;
- Social enterprises providing social services: existing problems and challenges;
- Social enterprises working on environmental issues and issues to protect the traditions: problems and challenges.

- დასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური საწარმოები: არსებული პრობლემები და გამოწვევები;
- სოციალური სერვისების მიმწოდებელი სოციალური საწარმოები: არსებული პრობლემები და გამოწვევები;
- გარემოსდაცვითი და ტრადიციების შენარჩუნებაზე მომუშავე სოციალური საწარმოები: პრობლემები და გამოწვევები.

დისკუსიების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ ინტერსექტორული თანამშრომლობა, სექტორებს შორის უკვე არსებულ პარტნიორობის წარმატებული მაგალითები და სამომავლო თანამშრომლობის ფორმების გამრავალფეროვნება.

მიკროგრანტები სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე

შრომის ბაზარზე ნაკლებად კონკურენტუნარიანი ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრირების და დასაქმების მიზნით პროგრამა გასცემს მიკროგრანტებს იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, რომლებიც უკვე ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას ან აქვთ მსგავსი აქტივობის წამოწყების სურვილი.

2015 წლის პერიოდში პროგრამის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციები:

«საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია» – 1991 წელს დაფუძნებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს პროფესიონალებს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებს, მათ ნათესავებს და დაინტერესებულ მოქალაქეებს. ორგანიზაციის მიერ დაფუძნებული სოციალური საწარმოს იდეა შეესაბამებოდა მისი საქმიანობის სპეციფიკას, რადგანაც ასოციაციის ბენეფიციარებისთვის ნებისმიერი სამუშაო არ არის მისაღები. სოციალური საწარმოში «სამკერვალო მებიუსი» დასაქმდება 5 ადამიანი მენტალური შეზღუდვებით, ერთი პროფესიონალი თერაპევტი, მენეჯერი და ბუღალტერი.

პირველ ეტაპზე საწარმოს ამუშავებისთვის მოეწყო და შეკეთდა შესაბამისი ფართი, შეძენილი იყო სამკერვალოს ფუნქციონირებისთვის საჭირო დანადგარები და მანქანები. სამკერვალოში სამუშაოდ საჭირო უნარების მისაღებად ორგანიზაციის 10 ბენეფიციარი გადის ტრენინგებს, აქედან 5 ადამიანი მუდმივად დასაქმდება. საწარმოში რეგულარულად განხორციელედება ახალი კადრების გადამზადება. ტრენინგების დასრულებისთანავე საწარმო ამუშავდება.

«ჯოკოლო XXI» – 1993 წელს დაფუძნებული საზოგადოებრივი ორგანიზაცაა, რომლის მისია არის: თემის გაძლიერება, გენდერული თანასწორობისთვის ბრძოლა, ქალთა და ახალგაზრდების დასაქმების მხარდაჭერა. ორგანიზაციის მიზანია პანკისის რეგიონში მცხოვრები 15 ქალბატონისთვის სამუშაო ადგილების შექმნა. პანკისის რეგიონში მოსახლეობა დაკავებული მეცხვარეობით, თუმცა მატყლის დამუშავების პროცესი ადგილობრივი ქალბატონებისთვის საკმაოდ მძიმე სამუშაოა. ორგანიზაციის მიერ დაფუძნებული სოციალური საწარმოს მომსახურება იქნება სპეციალური დანადგარებით მატყლის ჩეჩვა, რაც საწარმოში დასაქმებულ ქალბატონებს და ზოგადად მოსახლეობას, რომელიც ძირითადად

Other important discussion topics were inter-sectoral relationships, positive examples of already existing partnerships among the sectors, and diversification of future cooperation forms.

Micro-grants for the development of social enterprises

In order to achieve integration into the society of individuals that are less competitive on the labor market and improve their employment situation, the program issues micro-grants for those civil society organizations that are already engaged into economic activity or have a desire to start such.

Organizations, funded during 2015 by the program:

Georgian Association for Mental Health (GAMH) – founded in 1991, the organization unites mental health

მატყლისგან დამზადებული ტანსაცმელის, ნივთების და აქსესუარების რეალიზაციით ირჩენს თავს, შრომას შეუმსუბუქებს. რეგიონში მსგავსი მომსახურება დიდი მოთხოვნით სარგებლობს, შესაბამისად საწარმო შეძლებს ადგილობრივი ქალბატონებისთვის მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნას. გარდა ამისა, საწარმოში შეიქმნება ხელნაკეთი ტანსაცმელი და აქსესუარები.

საწარმოს ფუნქციონირების დაწყებამდე საჭირო იყო სამუშაო ფართობის მოწყობა. ამისათვის შეკეთდა და აღიჭურვა 2 ოთახი, მატყლის დამუშავების პროცესისთვის დამზადდა ხის მაგიდები, დამონტაჟდა მატყლის საჩეჩი მანქანა, საკიდები და თაროები. საწარმომ მუშაობა დაიწყო წლის ბოლოს დეკემბერში. ერთ თვეში პროდუქციის გაყიდვებიდან მისმა მოგებამ შეადგინა 445 ლარი, აქედან 200 ლარი იყო მატყლის ჩეჩვის მომსახურებიდან შემოსული თანხა.

ქალთა კავშირი «რეა» – 2001 წელს დაფუძნებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის მიზანია განსაკურებული საჭიროებების მქონე ადამიანების ინტეგრაცია და სოციალიზაცია. ორგანიზაციის ბაზაზე წარმატებით მოქმედებს სოციალური კაფე «რეას ციყვები», რომელშიც დასაქმებულია 4 ქალბატონი მენტალური შეზღუდვებით. სოციალური ზეგავლენის მასშტაბის გაზრდის მიზნით ორგანიზაციამ გადაწყვიტა ასპინძაში საინტეგრაციო ცენტრის ბაზაზე კიდევ ერთი სოციალური საწარმოს დაფუძნება, რომლის პროდუქცია იქნებოდა ჩირი და შოკოლადი. საწარმოში დასაქმდება 2 ადამიანი მენტალური შეზღუდვებით და 2 მშობელი.

საწყის ეტაპზე ჩატარდა სამუშაო ფართობის კეთილ-მოწყობის სამუშაოები, კერძოდ განხორციელდა სარე-მონტო სამუშაოები, წარმოების პროცესისთვის შეძენილი იყო დიდი რკინის მაგიდა და მაცივარი. ასევე მოხდა ხილის საშრობი დანადგარების მომწოდებლების შესწავლა. საინტეგრაციო ცენტრის ბენეფიციარებმა გაიარეს ხელობის შემსწავლელი კურსი, რომლის შედეგად

professionals, people with physic disorders, their relatives and interested citizens. The idea of the social enterprise founded by the organization was in line with the organization specifics, considering that not all jobs are acceptable for its beneficiaries. Five people with mental limitations, one professional therapist, a manager and an accountant will get jobs in the social enterprise "Sewing Workshop".

At the first stage, the building was renovated and respectively equipped to put the enterprise to work. Equipment and machinery necessary for the operations were purchased. In order to acquire necessary skills to work at the sewing shop, 10 beneficiaries of the organization are undergoing trainings. Out of them, five people will get full-time jobs. The enterprise will regularly update the personnel. It will be put to operations immediately upon ending the trainings.

Jokolo XXI – is a civil society organization founded in 1993, with the following mission: community strengthening, fight for gender equality, support to women's and youth employment. The goal of the organization is to create work places for 15 female residents of Pankisi region. Population of the region is engaged in sheep farming, however, wool making process is quite hard work for local women. The social enterprise founded by the organization will provide wool carding service using special equipment. This will easy the work of women in the enterprise, as well as of other residents of the region, for whom wool processing, and making wool garments, items and accessories, is the main bread earning activity. Such service is in high demand in the region, thus the enterprise will be able to ensure permanent work places for local women. Besides, the enterprise will manufacture handmade apparel and accessories.

Before starting the enterprise, it was necessary to equip the premises. For this reason, two rooms were renovated and equipped, wood tables were made for wool processing, and a wool carding machine, hangers and shelves were installed. The enterprise started work in the end of the year – December 2015. In a month, the profit from selling the production made GEL445, out of which, GEL200 was attributed to revenues from wool carding service.

Women's union "Rhea" – is a civil society organization founded in 2001 and aimed at integration and socialization of people with special needs. Rhea's Squirrels – a social cafe – is successfully operating on the organization's basis, giving jobs to four women with mental limitations. In order to raise the scale of social impact, the organization decided to found another social enterprise on the basis of Aspindza Integration Center – dry fruit and chocolate products manufacturing enterprise, which hired two people with mental limitations and two parents.

On the initial stage, the work area was renovated and equipped. In particular, refurbishing work took place,

ისწავლეს ტრადიციული მეთოდით ხილის გაშრობა და გასაყიდად გამზადებული ჩირის შეფუთვისთვის საჭირო დეკორატიული პარკების კერვა. საწარმოს ამუშავების პირველ ეტაპზე გააშრეს ხილის საცდელი პარტია (მთლიანობაში 120 კილოგრამი), რომლის რეალიზაციაც დაიწყო წლის ბოლოს და დეკემბერში გაყიდვებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 600 ლარი.

«ეთიკფინანსი» – 2008 წელს დაფუძნებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის ბაზაზეც გორის რაიონის სოფელ სობისში წარმატებით ამუშავდა სოციალური საწარმო. საწარმო უშვებს ნატურალურ ვაშლის წვენს და მცირე რაოდენობით ვაშლის ძმარს. ამჟამად საწარმოში დასაქმებულია 12 ადგილობრივი ახალგაზრდა და ქალბატონი. წარმოების პროცესი მოიცავს წელიწადში 3 თვეს, შესაბამისად დასაქმება არ არის სტაბილური. სწორედ ამის გამო ორგანიზაციამ გადაწყვიტა საწარმოს ასორტიმენტის გამრავალფეროვნება და პროდუქციაში სეზონული ხილის ჯემის დამატება, ასევე ვაშლის ძმრის პროდუქციის გაზრდა. მიღებული გრანტის დახმარებით საწარმომ დაიწყო ვაშლის ჯემის წარმოება, რომლის გაყიდვები იყო მოსალოდნელზე დაბალი. ეს გამოწვეული იყო პროდუქციის სტანდარტიზაციის და ლაბორატორიული სერტიფიკაციის პროცესის შეფერხებით, რის გარეშეც შეუძლებელია პროდუქციის ფართო ბაზარზე გატანა. მიუხედავად ამისა, ვაშლის ჯემი სტაბილურად იყიდებოდა. ასევე, საწარმო გეგმავს სხვა პროდუქციის საცდელი პარტიების გამოშვებას და მომავალში ბაზარზე შეტანას.

სასიხარულოა წინა წლის მიკროგრანტების პროგრამის ფარგლებში დაფუძნებული **სოციალური საწარმო «ბაბალე»-ს წარმატებული საქმიანობა.** «ბაბალე» აწარმოებს ხის სუვენირებს, სათამაშოებს და აქსესუარებს. საწარმოს სოციალური მიზანია დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების დასაქმება. 2015 წლის სექტემბერში გაიხსნა საწარმოს სალონი-სახელოსნო. გახსნის საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ ბიზნეს კომპანიები, საერთაშორისო და ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე პროდუქციით დაინტერესებული მოქალაქეები.

ამჟამად საწარმოში ანაზღაურებად სტაჟირებას გადის სამი შშმ პირი, ერთი კი მუდმივად დასაქმებულია სრულ შტატზე. საწარმო წარმატებით ახერხებს გაყიდვების ზრდას და ასევე დამატებითი ფინანსების მოზიდვას. «ბაბალე»-ს სრულყოფილად ამოქმედებიდან (2015 წლის ნოემბერი – დეკემბერი) 4 თვეში საწარმოს გაყიდვებმა შეადგინა 15 800 ლარი.

2015 წელს პროგრამის ფარგლებში გაცემული მიკროგრანტების, ჩატარებული ტრენინგების და კონსულტაციების შედეგად საკუთარი ფინანსური და ორგანიზაციული მდგომარეობა გაიუმჯობესა 9 სოციალურმა საწარმომ. პროგრამის მიერ 2015 წელს მხარდაჭერილ სოციალურ საწარმოებში დასაქმებულია 22 ადამიანი, რომლებიც შრომის ბაზარზე ნაკლებად კონკურენტული ჯგუფების წარმომადგენლები არიან. სოციალურ საწარმოებში დასაქმება მათ საკუთარი შემოსავლის მიღებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობას აძლევს.

a large metal table and a refrigerator were purchased for the work process. A study on fruit drying equipment suppliers was also conducted. Beneficiaries of the integration center underwent a course to learn necessary skills of traditional methods of fruit drying and on making decorative packaging bags for dried fruit. On the first stage of the enterprise activity, a test product was made (a total of 120 kilos of fruit was dried). Selling of the test product started in the end of the year and, in December, the amount from the sales made GEL600.

Ethic Finance – is a civil society organization founded in 2008. A social enterprise established on its basis was successfully put to operations in village Sobisi of Gori district, producing natural apple juice and a small quantity of apple cider. Currently, 12 local youth and women are employed in the enterprise. Production process covers three months a year, which means the employment is not stable. For this reason, a decision was made to diversify the assortment and add seasonal fruit jams to the production, as well as to increase the volume of produced apple cider. With the received grant, the enterprise started making apple jam, however, the sales of this product was lower than expected due to impediments in the product standardization and laboratory certification processes. Without proper compliance with the requirements of these processes, it is not possible to place the product on the wide market. Despite this, apple jam sales were stable. In addition, the enterprise is planning to produce test samples of other products and, in the future, place them on the market.

Successful activity of a social enterprise Babale founded within the previous year's micro-grants program brings much joy. Babale produces wood souvenirs, toys and accessories. The social goal of the enterprise is to get jobs to people with Down syndrome. The salon-workshop of the enterprise was opened in September 2015, and the opening ceremony was attended by representatives of business companies, international and local civil society organizations, as well as citizens interested in its production.

At present, three persons with limited abilities are doing paid internship at the enterprise, while one person has a permanent full time job. The enterprise successfully manages to increase its sales and to attract additional funds. In four months after Babale started full operations (November-December 2015), the sales reached GEL 15,8000.

As a result of the trainings and consultations delivered in 2015, nine social enterprises improved their financial and organizations situation. Within the social enterprises supported by the program in 2015, 22 persons representing less competitive groups on the labor market were able to get jobs. Their employment at the social enterprises gives them opportunities to have their own income and get integrated in the society.

სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაცია

სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მაგალითი გახლავთ სოციალური საწარმოების და სტუდენტების თანამშრომლობა. ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელი სითამამე, მოქნილობა, ინოვაციური იდეების ტრანსფორმირება, ენერგიულობა ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოში ახლად ჩამოყალიბებული სოციალური მეწარმეობის სფეროში. სწორედ ამიტომ, 2012 წლიდან პროგრამააქტიურადმუშაობსახალგაზრდებშისოციალური მეწარმეობის იდეის პოპულარიზაციაზე და მათ მიერ სოციალური საწარმოების ჩამოყალიბების ხელშეწყობაზე. 2012 წლიდან „საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი" „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდთან" პარტნიორობით აწყობს ყოველწლიურ კონკურსს **„სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად",** რომელშიც მონაწილეობენ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

2014-2015 წლების კონკურსის პირველი ეტაპი განხორციელდა 2014 წლის სექტემბერ-დეკემბერში. იგი მოიცავდა: საინფორმაციო სემინარებს სტუდენტებისთვის, გაცნობით ბასტურებს, რომლის მსვლელობაშიც სტუდენტებმა გაიცნეს სოციალური საწარმოები და მიიღეს დავალება შიდასაუნივერსიტეტო კონკურსებისთვის და შიდასაუნივერსიტეტო კონკურსებს.

2015 წლის გაზაფხულზე ჩატარდა შემაჯამებელი უნივერსიტეტთაშორისი კონკურსი – **„სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად 2014-2015"**, რომელზეც 4 მოასპარეზე უნივერსიტეტის სტუდენტურ გუნდებში გამოვლინდა სოციალური საწარმოს პრობლემის მოგვარებაზე მიმართული საუკეთესოდ შესრულებული პროექტი, ასევე ახალი სოციალური საწარმოს დაფუძნების საუკეთესო ბიზნეს გეგმა.

პროექტების შეფასებისას კონკურსის ჟიური ხელმძღვანელობდა ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა: სოციალური საწარმოს ფინანსური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ასევე ახალგაზრდების მიერ შემუშავებული მიდგომების ინოვაციურობა და კრეატიულობა. კონკურსის ჟიურიში შედიოდნენ პარტნიორი ბიზნეს კომპანიების და თბილისის მერიის წარმომადგენლები, ასევე სტუდენტურ პროექტებში ჩართული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონკურსის პირველ ნომინაციაში, ბიზნესპროექტის შემუშავება და განხორციელება, გამარჯვებული გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი „პიარ კონსეპტი".

კონკურსის მეორე ნომინაციაში, საუკეთესო ბიზნესგეგმის შემუშავება, გაიმარჯვა კავკასიის უნივერსიტეტი გუნდმა „ედელვაისი". ამ ნომინაციაში გამარჯვებული გუნდის პარტნიორმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისგან" მიიღო დაფინანსება ახალი სოციალური საწარმოს დაფუძნებაზე.

კონკურსის ბიზნესპარტნიორებმა კომპანია „ჯეოსელმა", ჟურნალმა "National Geographic" და სასტუმრომ "Rooms Hotel Kazbegi" მონაწილესთვის დააწესეს სხვადასხვა ჯილდო.

Popularization of the social enterprising concept

One of the best examples for promoting of social enterprising is cooperation between social enterprises and students. Youth characteristic features, such as boldness, flexibility, transformation of innovative ideas, energy, etc. are very important to the social enterprising area which has been just recently introduced in Georgia. That is why, since 2012, the program has been actively working on the popularization of social enterprising idea among youth and on promoting establishment of social enterprises by young people. Since 2012, the Center for Strategic Research and Development of Georgia, in cooperation with the Eurasia Partnership Foundation, has been holding annual contest for students of various universities in Tbilisi – **"Students for Social Entrepreneurship".**

The first stage of the 2014-2015 contest was held in September-December, 2014, implying the following activities: information seminars for students, bus-tours aimed at the participating students become aquatinted with the social enterprises and get assignments for inner-university contests, and holding inner-university contests.

საპოპულარიზაციო გამოცემა

2015 წლის ნოემბერში გამოიცა ქართული სოციალური საწარმოების პირველი კატალოგი. ეს არის გამოცემა რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია საქართველოში მოქმედ 30 სოციალურ საწარმოზე, მათ სოციალურ მიზნებზე, პროდუქციასა და მომსახურებაზე. კატალოგი დაურიგდათ 2015 წლის ქართული სოციალური საწარმოების ფორუმის მონაწილეებს. კატალოგის გამოცემა მოხერხდა თბილისის მერიის ფინანსური დახმარებით.

კარგი მმართველობის ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მიზანია ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე მმართველობის გაუმჯობესება, აგრეთვე მთავრობის მიერ მოსახლეობის საჭიროებებისა და რეალური პრობლემების უფრო ეფექტიანი გათვალისწინება.

პროგრამის სტრატეგია შემუშავებულია პროგრამის ექსპერტების მიერ „ცენტრის" კვლევით საქმიანობაზე დაყრდნობით, ასევე საკანონმდებლო და სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობის გამოცდილების გათვალისწინებით და გულისხმობს სამთავრობო სტრუქტურების პოლიტიკის ანალიზს, საჯარო განხილვასა და მონიტორინგს.

პროგრამა მოიცავს როგორც **ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეს** და მიმდინარეობს ორი ძირითადი მიმართულებით, რომელთა ფარგლებში საქმიანობის წარმართვის მიზნით შემუშავებულია ორი ქვეპროგრამა: **კვლევები და რეფორმების ხელშეწყობა; თვითმმართველობის განვითარება.**

თვითმმართველობის განვითარების ქვეპროგრამა

პროგრამის მიზანია სამიზნე მუნიციპალიტეტებში ხელი შეუწყოს ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობას და საბიუჯეტო პროგრამებში ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების მაქსიმალურ ასახვას.

ქსელური საქმიანობა – თვითმმართველი ერთეულების მონიტორინგი

პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობები დაფარულია სამოქალაქო მონიტორინგის ქსელით, რომელშიც „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" კოორდინირებით ჩართულია კახეთის, გურიის და სამეგრელოს რეგიონებში მოქმედი ადგილობრივი საზოგადოებრივი და სათემო ორგანიზაციები. თელავში პროგრამის საქმიანობას „ცენტრის" თელავის ბიურო წარმართავს. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიანობის ზრდას,

A summarizing inter-university contest - **Students for Social Entrepreneurship 2014-2015** - was held in the spring 2015, and revealed the best projects among four contestant university teams in two nominations: solving a social enterprise problem, and the best business plan for founding a new social enterprise.

The jury used the following project assessment criteria: improvement of the social enterprise's financial and social sustainability, innovation and creativity of the approaches developed by the students. The jury was comprised of representatives of partner organizations and Tbilisi City Hall, as well as representatives of the organizations involved in students projects.

Tbilisi State University team PR Concept was declared the winner of the first nomination - development of business project and its implementation.

In the second nomination - development of the best business plan - University of Caucasus' team Edelweiss was named to be the winner. Its partner civil society organization got funding from the Eurasia Partnership Foundation to start a new social enterprise.

Business partners of the contest - Geocell, National Geographic magazine, and Rooms Hotel Kazbegi - had various awards for contestants.

Popularization program

The first catalogue of the Georgian social enterprises was published in November 2015. It provides information on 30 social enterprises operating in Georgia, their social goals, products and services. The catalogue, published with financial support from Tbilisi City Hall, was distributed among the participants of the Georgian Social Enterprise Forum 2015.

PROGRAM – THE PROMOTION OF GOOD GOVERNANCE

The program goal is to improve governance on the national and the local levels, and ensure a more effective consideration by the Government of the needs and real problems of the population.

The program strategy has been developed by CSRDG experts based our research activity and considering the experience of our cooperation with legislative and governmental authorities, and implies analysis, public discussions and monitoring of Government policies.

The program covers both the **national and the local levels** and has two main directions, for which, two sub-programs have been developed: **Research and Promotion of Reforms; and Development of the Self-Governance.**

ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თვითმმართველობებს შორის კომუნიკაციის დამყარებას, ადგილობრივი პრობლემების გადაჭრის მიმართულებით სექტორებს შორის თანამშრომლობის პოზიტიური მაგალითების შექმნას და საბოლოოდ პროგრამის მდგრადი/გრძელვადიანი შედეგების მიღწევას.

დასახული მიზნის მისაღწევად პროგრამის სტრატეგიას წარმოადგენს სამიზნე მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო პროცესისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული გამჭვირვალობის ნორმების შესრულების მონიტორინგი. პროგრამის მრავალწლიანი საქმიანობის შედეგად სამიზნე მუნიციპალიტეტებში მნიშვნელოვნად დაიხვეწა ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესი, გაიზარდა თვითმმართველობის ორგანოთა გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობა. ჩამოთვლილი პოზიტიური ცვლილებების მიღწევა შესაძლებელი გახდა თვითმმართველ ერთეულებთან მუშაობის კომბინირებული მიდგომის გამოყენებით. იგულისხმება ერთი მხრივ, თვითმმართველობების საქმიანობის მონიტორინგი, ხოლო მეორე მხრივ, გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით პროგრამის ექსპერტების მიერ თვითმმართველობების კონსულტირება და მათთვის რეკომენდაციების შემუშავება.

პროგრამის ექსპერტთა მიერ შემუშავებული სტრატეგია მოიცავს:

- ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების მონიტორინგს;
- ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო პროცესების და პროგრამების მონიტორინგს;
- საბიუჯეტო პროცესებში ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართვას;
- მონიტორინგით გამოვლენილი პრობლემების მოგვარების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერებას და მათთვის რეკომენდაციების შემუშავებას.

გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება – მიღწეული შედეგები

თვითმმართველი ერთეულების გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ: წარმომადგენლობითი ორგანოების სხდომების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართვის უზრუნველსაყოფად კანონით განსაზღვრული მექანიზმების არსებობას და სხვა.

სამოქალაქო მონიტორინგის ქსელმა, თვითმმართველი ერთეულების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და კარგი მმართველობის პრინციპების გათვალისწინებით, შეიმუშავა საკრებულოს

SUB-PROGRAM: DEVELOPMENT OF SELF-GOVERNANCE

The goal of the program is to promote transparency of the local budgetary process in the target municipalities and maximum representation of the local population’s needs.

Network activity – monitoring of self-governed units

The activities carried out within the program are covered by the Civil Monitoring Network which is coordinated by CSRDG and includes local civil society organizations and community based organizations in Kakheti, Guria and Samegrelo regions. Program activity in Telavi is led by CSRDG’s Telavi Bureau. Such approach ensures raising the program effectiveness, establishment of communications between local civil society organizations and the self-governments, creation of positive examples of inter-sectoral cooperation aimed at solving local problems, and ultimately - accomplishment of sustainable/long-term results of the program.

The program strategy for achieving the goal is to monitor the budgetary process in the target municipalities and the accomplishment of transparency norms required by the legislation. Due to the multi-year long program activities, local budgetary processes have considerably improved in the target municipalities, and transparency of the self-government authorities, as well as accountability and citizens engagement, have increased. Achievement of the listed positive changes has become possible by using a combined approach of working with the self-governances. This, on the one hand, implies to monitoring the activities of the self-governances and, on the other hand, providing consultations to the self-governances by the Program experts in order to improve the identified drawbacks, and preparing recommendations for them.

To summarize briefly, the strategy developed by the Program experts includes:

- Monitoring of the transparency and accountability of the self-governments’ activities;
- Monitoring of the self-governments’ budgetary processes and programs;
- Involvement of civil society organizations in the budgetary processes;
- Strengthening of the self-governments and development of recommendations for them aimed at solving the problems revealed by the monitoring.

Transparency and Accountability – Accomplishments

Transparency and accountability of the self-governed units implies to the following: informing the public about the sessions of the representative bodies, accessibility of

გამჭვირვალობის 16 სპეციალური კრიტერიუმი. 2015 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, პროგრამა 8 კრიტერიუმის მონიტორინგს ახორციელებდა, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტების საკრებულოებთან საზოგადოებრივი საბჭოების არსებობა;
- საზოგადოებისთვის განსაკუთრებით აქტუალურ საკითხებზე გამართული საჯარო დისკუსიების რაოდენობა;
- მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების მიერ გასვლითი სესიების ორგანიზება;
- წარმომადგენლობითი ორგანოების მორიგი სხდომების შესახებ საზოგადოების დროული ინფორმირება;
- წარმომადგენლობითი ორგანოების კომისიების შესახებ საზოგადოების დროული ინფორმირება;
- საკრებულოს წევრებისა და თანამდებობის პირების ანგარიშგება;
- მუნიციპალიტეტების ვებგვერდების ინფორმატიულობა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის უზრუნველსაყოფად საზოგადოების დროული ინფორმირება.

